რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 16 აპრილი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 25 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 25

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

სამშაბათს 11 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე (ვანო) იოვის ძე ფოთოლაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწუხარნი ცოლი, შვილები, ძმა და რძლები. გამოსვენება დღეს, 16 აპრილს დილის 9 ნახ. საათ. ვერის წმ. ნიკოლ. ეკლესიაში დაკრძალვა იმავ დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ქალ. თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭო.

ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე.

მუშათა დეპუტატების საბჭოს საზოგადო კრებები იმართება შაბათობით, საღამოს 5 საათიდან, სახალხო სახლში.

აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა დეპუტატების საბჭოსი იკრიბება კვირაში ორჯელ სამშაბათობით და პარასკეობით, საღამოს 6 საათიდან, საბჭოს სადგომში სასახლეში.

მუშათა საბჭოსა და მისი აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, საბჭოს წევრები, რომლებიც სამჯერ თანდათან არ დაესწრებიან კრებას და ამისათვის საპატიო მიზეზი არ ექნებათ, საბჭოსაგან გასულათ ითვლებიან.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა სწარმოებს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ყოველდღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა, დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. კასა ღიაა დილის 11—3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

6—6 **მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტი.**

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

კვირას, 16 აპრილს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება:

ყაჩაღები

ტრ. 5 მოქ. შილლერისა თ. ნ. ავალიშვილისი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ს. ანკარა, ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. თავდგირიძე, ვ. მამაჯანოვი, ალ. ბაქრაძე, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, სალაყაია, ხიმშელი, ალ. შანშიაშვილი და თანამშრომლები.

დასაწყისი საღ. სწორედ 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 54 კ.-მდე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 აპრილს. ✦ ✦ რეჟ. **ქ. შათირიშვილი.**

საამშენებლო კანტორა ი. ს. ვარაზაშვილისა

ამით აუწყებს **ერზერუმის რკინის გზაზე სამუშაოთ ჩაწერილ მუშებს,** რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, რათა ისინი აპრილის 20-მდე გამოცხადდენ გზაზე სამუშაოთ (სარაყამიშის კანტორაში), ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება, ისინი სიიდან გამოირიცხებიან და მათი დოკუმენტები გადაეცემა ყარსის სამხედრო უფროსს. 3—3

საამშენებლო კანტორა ი. ს. ვარაზაშვილისა

ამით აუწყებს **ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე სამუშაოთ ჩაწერილ მუშებს,** რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, რათა ისინი აპრილის 20-მდე გამოცხადდენ გზაზე სამუშაოთ. ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება, ისინი სიიდან ამოირიცხებიან და მათი დოკუმენტები გადაეცემა შუშის სამხედრო უფროსს. 3—3

მუშების საყურადღებოთ.

ვთხოვ ყველა მუშებს, რომელნიც მუშაობდენ **ვარაზაშვილის** სამუშევარზე სემია აბაშიძესთან დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ქვემოთ დანიშნულ ალაგებზე აზრუმისკენ წასასვლელათ; სამუშევარი ანთავისუფლებს სამხედრო ბეგრიდან ლურჯს, წითელს და თეთრ ბილეთებიანებს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება: **ქუთაისში**—ნიკო ალფაიძესთან, **ყვირილაში**—ილაკრი არაბიძესთან, **ხაშურში**—ტრიფონ ჯაფარიძესთან, **გორში**—იორდანე ხარებაშვილთან.

4—1 სემია აბაშიძის რწმუნებული **მ. ფერაძე.**

სამედიცინო საზოგადოების სადგომში (ალექსანდრეს ბაღი).

20 და 21 აპრილს ამა წლისა, საღამოს 6 საათზე 1917 წ. შესდგება სრულიად **კავკასიის სამოქალაქო და სამხედრო ფერშალთა, ფერშალ ქალთა და ბებია ქალთა**

ყრილობა,

სადაც გამორკვეული იქნება დღევანდელი მომენტის მიხედვით საშუალო პერსონალის მდგომარეობა, მოხდება გამგეობის არჩევა და სხვა ბევრი საყურადღებო კითხვები გაირჩევა.

თფ. 1-ლი შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ხელი მოაწერეთ

1917 წლის თავისუფლების სესხზე.

ხელის მოწერა და ცნობების მიღება სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე ამხანაგობის გამგეობაში (ვერის დაღმართი № 12.) 2—1

თფ. 1-ლი შემნ.-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობა

სთხოვს ამხ. წევრებს მობრძანდენ ორშაბათს, 17 ამ თვეს საღამოს 8 ნახ. საათზე

თათბირზე

ამხანაგობის შენობაში (ვერის დაღმართი № 12).

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს **ბავშვთა და შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფობისა, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენდგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტრიპერით. დიდი სოლინოიდი სპეციალური მოწყობა და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისათვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰემეზის, სისხლ ნაკლებობის, ფრილობის, ნევრასთენიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

პარტიის გაერთიანება.

გაზეთებმა ცნობა მოგვიტანეს პეტროგრადში მომხდარ პარტიულ თათბირის შესახებ, რომელზედაც ყველა მიმდინარეობის და ფრაქციების წარმომადგენლებმა თითქმის ერთხმათ მიიღეს დადგენილება პარტიული მთლიანობის შესახებ.

სოციალდემოკრატია როგორც ვიცით, მთავარი იდეიური ხელმძღვანელია მიმდინარე რევოლიუციის. მის გავლენის ქვეშ იმყოფება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, მათ იდეას ატარებს, მათ ტაქტიკას აწარმოებს. მაგრამ თვით ს. დემოკრატია ასეთი შემძლე და გავლენიანი გარეთ, მასიურ შემოქმედებაში, დღემდე თავის შიგნით დაქსაქსული, ორგანიზაციულათ გაუერთიანებელი, განა შეიძლება ასეთი ანომალიის მოთმენა?

ტაქტიკა და პოლიტიკა, რომელიც აერთებს თითქმის მთელ რუსეთის რევოლიუციურ არმიას, დღემდის თვით პარტიისთვის ვერ გამხდარა სახელმძღვანელოთ და სავალდებულოთ. მარქსიზმის სწორი და შორსმჭვრეტელი რევოლიუციური პოლიტიკა გასაოცარის სინამდვილით ასხამს ხორცსა და სისხლს, ამოძრავებს და წინ მიაქანებს დიად რევოლიუციას, აშუქებს უძნელეს და ურთულეს კითხვებს უმაგალითო რუსეთის რევოლიუციისას და მათ სისწორით, ნამდვილ რევოლიუციონურათ გადაჭრას აადვილებს.

ასეთია საკითხი ომის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების და სხვა მთელ რიგ რევოლიუციურ მოთხოვნილებათა განხორციელების და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ამ რევოლიუციურ შემოქმედების პირველსავე ხანებში გადაიჭრა ყველა ის სადაო კითხვები, რომლის გარშემო თავს იტეხდენ და გაფიცხებული ეკვეთებოდენ ერთიმეორეს სოციალდემოკრატიული პარტიის ფრაქციები.

რევოლიუციამ უკვე მოგვცა თავისი პასუხი და განახორციელა ის, რასაც მოითხოვდა ინტერესები მოძრაობის ღრმავების და თავისუფლების განმტკიცების.

ცხადია, ასეთ პირობებში მხოლოდ მოცლილს შეუძლია სადაო კითხვები ჩხრიკოს და არსებულ მავნე გათიშვას საფუძველი უძებნოს.

რევოლიუციური საქმიანობა მიუცილებლათ მოითხოვს გაერთიანებას, საერთო ორგანიზაციას, საერთო დისციპლინას, ერთ მთლიან ყველასათვის სავალდებულო დირექტივების თანახმათ მოქმედებას.

და განა გარეშე ლენინისა, რომელიც თვით სოციალდემოკრატიის სახელწოდებას გმობს და ახალ კომუნისტთა ფრაქციის შექმნისკენ მიილტვის, კიდევ იქნებოდა ვინმე ფრაქციული განცალკევების მსურველი? და არც გასაკვირველია, რომ გაერთიანების იდეას ყველა დამსწრეთაგან მხოლოდ სამი აღმოუჩნდა მოწინააღმდეგე.

ამნაირათ გაერთიანების იდეის გაბატონება უტყუარი ფაქტია. დეზორგანიზაციის ხანას პარტიაში ბოლო ეღება. ძლიერი თავის მარქსისტულ მოძღვრებით და მარქსისტულ ტაქტიკით, რუსეთის სოც.-დემ. ძლიერი უნდა გახდეს ორგანიზაციული მთლიანობით და ასე რევოლიუციურ საქმიანობაში დაგვირგვინდეს მისი მისწრაფება: „ერთია მუშათა კლასი და ერთია მისი პარტია—სოციალდემოკრატია".

გაუმარჯოს პარტიის გაერთიანებას!

ინგლისისა და საფრანგეთის სოციალისტთა დელეგატები რუსეთში.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ზავის გარშემო მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიები აალაპარაკა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ზავის საკითხი დღიურ წესრიგში დასვა და მისი საბოლოოთ გადაწყვეტა აუცილებელი ხდება. განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ შეთანხმებისა და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების სოციალისტები.

დასახელებულ კითხვის შესახებ გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა თავისი აზრი გამოსთქვეს და ზავის დაუყონებლივ ჩამოგდებას მოითხოვენ. გერმანიის ოპორტიუნისტები—შეიდემანები და დავიდებიც კი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვენ და ერთხელ და სამუდამოთ ზურგს აქცევენ გერმანიის გაბატონებული კლასების იმპერიალისტურ დაპყრობით და უცხო ტერიტორიების შემოერთების პოლიტიკას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატები რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ზავის წინადადებას გულწრფელათ გამოეხმაურენ და რუსეთის სოციალისტებთან ერთად ზავის საკითხში საერთაშორისო პროლეტარიატის შეხედულებაზე დადგენ.

ამავე საკითხმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა სოციალისტების წრეებში. დასახელებულ სახელმწიფოების სოციალისტურმა პარტიებმა თავიანთ დელეგატები გამოგზავნეს — აქ რუსეთში—რუსეთის დემოკრატებთან ზავის შესახებ თათბირის გასამართავათ. ამ დელეგატებმა საქვეყნოთ კატეგორიულათ განაცხადეს, რომ მათი მიზანია—ზავი უანექსიოთ, ზავი, აგებული ხალხთა უფლების აღდგენაზე. ყველა მეომარ სახელმწიფოებმა უნდა გაანთავისუფლონ დაპყრობილი და დაკავებული ადგილები და **დამნაშავე სახელმწიფოებმა დაზარალებულ კუთხეებს ზარალი აუნაზღაურონ,** საფრანგეთისა და ინგლისის სოციალისტთა დელეგატები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სთხოვენ გადაჭრილ პასუხს, და მხოლოდ ასეთი პასუხის მიღების შემდეგ შესაძლებლათ მიაჩნიათ შეთანხმებაზე და საერთო გამოსვლაზე ლაპარაკი. უანექსიო ზავის მოთხოვნა სამართლიანი და ყველასათვის მისაღებია, მის წინააღმდეგ არც ერთი ქვეყნის სოციალისტს არაფერი აქვს სათქმელი. მხოლოდ მათი უკანასკნელი განცხადება დამნაშავე სახელმწიფომ ომისაგან დაზარალებულ კუთხეებს ზარალი აუნაზღაუროსო, მეტისმეტათ უფაქტო და პრინციპიალურათ შეუწყნარებელია. ასეთი მოთხოვნის წამოყენება პრაქტიკულათ შეუძლებლათ ხდის ზავის განხორციელებას. ერთი იმიტომ, რომ ვერც ერთი სოციალისტური პარტია ვერ დაამტკიცებს იმას, თუ რომელ სახელმწიფოს მიუძღვის დანაშაული, ომის დაწყებაში, რომელი სახელმწიფო უნდა დავსვათ საბრალმდებლო სკამზე. ეს ისეთი მოლიპული და საეჭვო ნიადაგია, რომლის გარშემო მუშაობა ვერასოდეს სახეირო ნაყოფს ვერ გამოიღებს.

მარქსისტულათ მოაზროვნე პარტიები დღიდან მსოფლიო ომის გამოცხადებისა მუდამ და ყოველთვის იმეორებდენ, რომ არსებული მსოფლიო ომის მიზეზები კაპიტალისტური სახელმწიფოების საწარმოო ურთიერთობაშია დამარხული, და ამიტომ მასში ყველა მეომარ სახელმწიფოს მიუძღვის ბრალი. ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული იყვნენ თავიანთი ბაზრის გასაფართოვებლათ ახალი ტერიტორიები, უკან ჩამორჩენილი ქვეყნები და ერები დაეპყროთ და ექსპლოატაციის ობიექტათ გაეხადათ. და რადგან დაპყრობა ერთი და იმავე ტერიტორიის ყველა ევროპის სახელმწიფოს ეწადა, ცხადია მით ერთი მეორეს წინააღმდეგ უნდა იარაღი აესხათ. მართლაც ისინი მთელი საუკუნოების განმავლობაში იარაღდებოდნენ, აძლიერებდენ მილიტარიზმს, ფლოტს და მუდამ მზათ იყვნენ ერთმანეთს დასტაკებოდენ. ცხადია საქმე იმაში არაა, თუ ვინ ისროლა პირველი თოფი. ასეთ პირობებში კი თავისთავათ საგულისხმოა მთელი საერთაშორისო ომის დანაშაულს ერთერთ სახელმწიფოს ვერ დავაკისრებთ.

საფრანგეთ-ინგლისის სოციალისტების დელეგატებმა ეს გზა უნდა დასტოვონ და დამნაშავეთა აღმოჩენაზე ხელი აიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ზავის ჩამოგდება შორეულ დროისათვის გადიდება და კაცობრიობის დამღუპველ ომს დასასრული არ მიეცემა. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა არა მარტო რუსეთ-საფრანგეთისა და ინგლისის სოციალისტების შეთანხმება და დამოუკიდებლათ ზავის პირობების შემუშავება, არამედ ყველა მოპირდაპირე სახელმწიფოთა სოციალისტებთან—განსაკუთრებით გერმანია-ავსტრიის სოციალ-დემოკრატებთან ერთად ზავის პირობების შემუშავება. ამისთვის კი საჭიროა დამნაშავის საკითხი მოიხსნას და მით მორიგებას მტკიცე ნიადაგი მიეცეს. ყველასათვის მისაღები საერთაშორისო ზავის პირობებია: ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, ზავი დამყარებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე. ე. ი. იმ პირობებზე, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ შეიმუშავა პეტროგრადში და მთელი რუსეთის მუშებმა და რევოლიუციურმა არმიამ მიიღო.

„ხალხოსნობის" დამცველნი.

ამას წინათ თფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა საფაბრიკო ნაწარმოებზე ნიხრის დადება გადასწყვიტა და ამის განსახორციელებლად და ნიხრის შესამუშავებლად კომისია აირჩია, სადაც მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებიც იყვნენ. მუშათა დეპ. საბჭოს წარმომადგენელმა ისეთი ზომა, როგორიც საფაბრიკო ნაწარმოებზე სეპარატიული ნიხრის დაწესებაა, მიზან შეუფერებლათ იცნო და კომისია მას დაეთანხმა.

საქმე აი რაშია: ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება ერთ რომელიმე კუთხეში ან ქალაქში შეუძლებელია. საფაბრიკო ნაწარმოებზე ფასს ადიდებს არა მარტო ვაჭარი, არამედ ფაბრიკანტიც. ამიტომ შეუძლებელია ს ორი ნიხრი დაწესდეს საქონლის განაწილების ალაგას. ასეთი ზომა მიზანს ვერ მიაღწევს. თუ ერთ ქალაქში ან კუთხეში ნიხრი იქნება შემოღებული, ხოლო მეორეში არა, მას შედეგათ მოჰყვება საქონლის გადამალვა იქ, სადაც ნიხრი არსებობს. ასეთივე შედეგი იქნება იმ შემთხვევაშიაც, როცა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაირი ნიხრი არსებობს. საფაბრიკო ნაწარმოებზე და საზოგადოთ პირველ საჭიროების საგნებზე მტკიცე ფასების დაწესება მხოლოდ მაშინ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, როცა ეს ზომა მთელ იმპერიაში იქნება განხორციელებული და არა ერთ რომელიმე ადგილას. ერთ რომელიმე საქონელზე მტკიცე ფასის დაწესება ან სეპარატიული ნიხრის შემუშავება ცალკე ადგილებისათვის, მხოლოდ კიდევ უფრო არევ დარევს საქმეს. ეს ნათლათ დაამტკიცა პურზე მტკიცე ფასების დაწესებამ.

ამიტომ დღეს წამოყენებულია საკითხი მთელი იმპერიისათვის შემუშავდეს მტკიცე ფასები ყველა პირველ საჭიროების საგნებზე, როგორც საფაბრიკოზე, ისე სამეურნეოზე. აი ერთათ ერთი სოციალური ზომა.

ასე დგას სწორედ საკითხი პეტროგრადის მუშათა და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოში. მისი ეკონომიური კომისია, რომელშიც მონაწილეობას იღებს რუსეთის ყველა გამოჩენილი ეკონომისტები, ერთხმათ დაადგა იმ აზრს, რომ არც პურის ფასები და არც სხვა რომელიმე საგნის არ შეიძლება მოწესრიგდეს,

თუ არ შემუშავდა მთელი იმპერიისათვის ერთი საერთო ზომა, ზოგიერთი ცვლილებებით, რომელიც ადგილობრივი პირებისაგან არის გამოწვეული. ასეთი ნიხრი დღეს მუშავდება და დროებით მთავრობასთან მოლაპარაკებაა, რომ მან იგი ცხოვრებაში გაატაროს.

ამ მოსაზრებით მ. დ. საბ. წარმომადგენელი წინააღმდეგი იყო ეხლავე სეპარატიული ნიხრის დაწესების, როგორც მიზანშეუწონილი საშვალების.

ამასთან, მან წინადადება შეიტანა, სანამ საერთო ნიხრი გამოქვეყნდებოდეს, კომისიამ წინადადება მისცეს თვით ვაჭრებს, შეიკრიბონ და თავისი პროფესიის წევრთათვის შეიმუშავონ სავალდებულო ნიხრი, რომლის ზევით გაყიდვა აკრძალული იქნება. ასე მოიქცენ, მაგალითად, ფეხსაცმელებით მოვაჭრენი. ეს ერთგვარი პალიატივური ზომაა, რომელიც დროებით—ცოტათი მაინც შეაჩერებს ფასების შეუჩერებელ ზრდას.

„სახალხო ფურცელი“ კი გამომდგარა და მუშ. და ჯ.-კ. საბჭოებს ჭკუას ასწავლის—არ შეიძლება ფართლეულობა და გალანტერეა ნიხრისაგან განთავისუფლდეს მაშინ, როცა სოფლის ნაწარმოებზე მტკიცე ფასებია დადებულიო. გაზეთი ასეთი დარიგებით ათავებს წერილს: ,,სახალხო ინტერესი მოითხოვს, რომ საბჭოს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას გასავალი არ დაურჩეს და საზოგადოთ ასეთ რთულსა და პასუხსაგებ საქმეებში მეტი სამართალი და ხალხოსნობა იქნეს დაცული‘‘.

ტყვილა გარჯილა ფედერალისტების ლეიბორგანო! მუშ. და ჯ. კ. საბჭოსაგან ,,ხალხოსნობის‘‘ დაცვა მას არ დაეჭირდება.

ეს სასაცილოა, მეტი რომ არა იყოს რა!

102 «სტატია».

რუსეთის დიდ ჯალათს ბევრი შხამიანი კბილი ქონდა. და ერთი უმთავრესი მათგანი იყო 102 ,,სტატია‘‘. პარტიული ამხანაგები კარგათ იცნობენ ამ მუხლს რუსეთის სისხლის სამართლისას. იგი სჯიდა რუსეთის რევოლიუციონერთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი რევოლიუციონურ ორგანიზაციას ეკუთვნოდენ.

რუსეთის მრავალ ბორკილებ შორის იგი ერთი უსაშინელეს ბორკილთაგანი იყო.

სჯიდენ თავისუფალ სიტყვას—129 მუხლის ძალით სისხლის სამართლისა. სჯიდენ თავისუფალ ორგანიზაციას—102 მუხლით. იგი იყო ხუნდები შეკავშირების, ერთობის, მწყობრათ დარაზმვის, ე. ი. სწორეთ იმის, რაც შეადგენს ხალხის ძალას, მის პირველ და აუცილებელ უფლებას.

და იგი ხუნდებით ემუქრებოდა ყველას, ვინც მის ბრჭყალებში მოხვდებოდა. კატორღა 4 წლიდან 12 მდე—აი რას უმზადებდა ეს მუხლი თავის მსხვერპლთ. ის პირველათ 1906 წელს წამოაყენეს, როცა დაიწყო 1905 წლის დიდი სახალხო მოძრაობის ლიკვიდაცია და ერთი პირველი მისი მსხვერპლთაგანი იყო მეორე დუმის ს.-დ. ფრაქციის წევრები, დღეს ჩვენი სამაყო და სანაქებო გმირები. მას შემდეგ ამ მუხლის წყალობით ბევრი მწარე დღეები უნახავს ჩვენ ამხანაგებს, ხალხისთვის თავდადებულთ.

მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, მოიგონეთ თქვენი ნაცნობ-მეგობრები—აბა რამდენია მათში ამ მუხლისაგან განაწამები? მაგრამ აი ხალხმა შემუსრა თავი რუსეთის ასპიდის—რომანოვთა თვითმპყრობელობის და მისი გესლიანი კბილებიც თავისთავად დაცვივნდა.

102 სტატია იყო დარაჯი რომანოვთა ტახტის, რეჟიმის და უსამართლობის. მის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ტახტი ერთობის, თავისუფლების და დემოკრატიულ რესპუბლიკის.

სადღეისო წერილები.

(დასასრული).

მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთის 1789 წ. დიდმა რევოლიუციამ დასცა თვითმპყრობელობა, მოსპო კაპეტინგების დინასტია. სხვანაირათ, რევოლიუციამ გამოგლიჯა ხელიდან მართვა-გამგეობის საქმე თავად-აზნაურობას და გადასცა ე. წ. მესამე წოდებას, ბურჟუაზიას. ესე იგი, შეიცვალა ერთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მეორეთი. რათ მოხდა ეს? თვითმპყრობელობა შეეფერება ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, როდესაც ყოფილი ფეოდალები, პოლიტიკურათ დამოუკიდებელნი, განსაზღვრულ ეკონომიურ მიზეზთა ზეგავლენით კარგვენ თავის დამოუკიდებელ მნიშვნელობას და თავად-აზნაურობის სახელით ბატონდებიან ნაციონალურათ და ეკონომიურათ გაერთიანებულ სახელმწიფოში. ეს ისეთი ეკონომიური ურთიერთობაა, როდესაც ნატურალურ-ფეოდალური, სოფლური მეურნეობა იცვლება წვრილ ხელოსნურ წარმოების წარმოშობის გავლენით და მასთან გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის განვითარებით, როდესაც ისახება ქალაქები, წვრილი სამრეწველო ცენტრები, ადვილდება მათ შორის მისვლა-მოსვლა, ჩნდება მარტივი მოქალაქეობრივი ურთიერთობა.

მაშასადამე თვითმპყრობელობის წესწყობილება განმტკიცებაა ორი საზოგადოებრივი კლასის ურთიერთობისა—ყოფილ ფეოდალების, მთელი წოდებრივი პრივილეგიებით შეიარაღებული თავად-აზნაურობის და ჯერ ნორჩ მოქალაქეობრივ ცხოვრების წარმომადგენელთა დამოკიდებულებისა. თვითმპყრობელობა, როგორც პოლიტიკური ფორმა, თითქმის ყველგან, შედეგია მეფის, ამ რომელიმე შედარებით ძლიერ ფეოდალის, და მოქალაქეების შეერთებულათ ბრძოლისა გალაღებულ და ეკონომიურათ მომაკვდავ ფეოდალთა წინააღმდეგ.

ეს ბრძოლა აერთიანებდა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ საზოგადოებას, ჩნდებოდა ეროვნება, ერთი ნაციონალურ-კულტურული მთლიანობა. მოქალაქეები ყველგან ხელს უწყობდენ მეფეს ფეოდალებთან ბრძოლაში, რომ დამყარებულიყო საერთო მშვიდობიანობა, მოსპობილიყო ფეოდალთა შეიარაღებული თარეში და მით ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მშვიდობიანი განვითარება უზრუნველყოფილიყო.

მეფე ასრულებდა მოქალაქეთა სურვილს, სპობდა ფეოდალთა ციხე-სიმაგრეებსა, მათ პოლიტიკურათ დამოუკიდებლობას, მაგრამ თან უტოვებდა მათ ყოველგვარ წოდებრივ უპირატესობას, ხელუხლებლათ სტოვებდა მათ უმთავრეს პრივილეგიას—გლეხობაზე ბატონობას. გაერთიანებულ სახელმწიფოში, ამიტომ, მთელი მართვა-გამგეობა თავად აზნაურობის ხელში იყო, ხოლო მოქალაქენი თითქმის არავითარი პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდენ. ეკონომიურათ აუცილებელ და საჭირო ცენტრალიზაციას მსხვერპლათ ეწირებოდა მოქალაქეების უფლებანი. საფრანგეთის ისტორიაში ამ პროცესმა ტიპიური განხორციელება ჰპოვა მე-17 საუკუნეში, მეფე ლიუდოვიკ მე-14 დროს, როდესაც საერთო ცენტრალიზაციამ და თავად-აზნაურობის ბატონობამ უკიდურესის წერტილს მიაღწია.

განვლო თითქმის ორმა საუკუნემ. ცხოვრება წინ მიდიოდა. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის ხალხის ეკონომიური განვითარება მძლავრათ მიექანება წინ, იზრდება საწარმოვო ძალები, ის თანდათან ასხვაფერებს მთელს ეკონომიურ შინობას, მოქალაქეობრივი ცხოვრება ფრთას შლის, იზრდება დიდი სამრეწველო ცენტრები, სადაც, საწარმოვო ძალთა განვითარების გავლენით, წარმოება ეწყობა ახალ, რთულ პირობებში, მთელ საფრანგეთს ეფინება ფაბრიკა-ქარხნები, წარმოება წვრილ, ამქრულ ხელოსნურ ფორმიდან თანდათან გადადის მსხვილ კაპიტალისტურ ფორმაში. ამ პროცესთან ერთათ იზრდება ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც სათავეში უდგას ამ ახალ სამრეწველო წარმოებას, ეს არის ყოფილი ხელოსნები, ვაჭრები და ე. წ. თავად-აზნაურული ბურჟუაზია. წარმოებითი წესის შეცვლასთან ერთათ იბადება ახალი სოციალური ელემენტები—სამრეწველო ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მთელი ეს რთული პროცესი ისახება პოლიტიკურ აბსოლიუტიზმის წიაღში, ე. ი. იმ სახელმწიფო ორგანიზაციის, რომელიც, როგორც დავინახეთ, შეეფერებოდა ძველ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობას. შინაარსი იცვლებოდა ძველ ფორმაში. მიუხედავათ იმისა, რომ თავად-აზნაურობა, როგორც ასეთი, კარგავდა თავის ეკონომიურ როლსა და მნიშვნელობას, მას ნიადაგი ეცლებოდა, როგორც სოციალურ კლასს, ის მაინც განაგრძობდა მართვა გამგეობის სათავეში დგომას. მეორეს მხრით, ახალ საწარმოვო წესის მიერ გამოწვეული ახალი კლასი ბურჟუაზია მიუხედავათ იმისა, რომ ერის ცხოვრებაში უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, მას ქონდა ფაქტიური, რეალური ეკონომიური ძალა, ის მაინც მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებას, მას ძველებურათ უყურებდენ. რევოლიუციის დროს აბბატი სიესი ამბობდა: რა არის დღეს მესამე წოდება (ბურჟუაზია?) არაფერი. რათ უნდა გახდეს ის? ყველაფერათ.

ამ სიტყვებში მოკლეთ გამოხატულია ნაჩვენები მდგომარეობა. ამიტომ აუცილებლათ უნდა მომხდარიყო კონფლიქტი ძველ პოლიტიკურ ფორმასა და ახალ შინაარს შორის, რომლის გამომხატველი იყო ბურჟუაზია. იფეთქა რევოლიუციამ. რეალურათ გაბატონებულმა ბურჟუაზიამ დარაზმა საზოგადოების სხვა უკმაყოფილო ელემენტები—გლეხობა და მუშათა კლასი, მათი დახმარებით დაამსხვრა თავად-აზნაურობის მართვა-გამგეობა—აბსოლიუტიზმი და თითონ ხელთ იგდო სახელმწიფოებრივი მფლობელობა. შინაარსმა გაარღვია ფორმა. ამაში მდგომარეობს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის პრინციპი. ეს არის ბურჟუაზიული რევოლიუცია, მიტომ, რომ რევოლიუციის შედეგით ისარგებლა ერთმა, ეკონომიურათ გაბატონებულმა კლასმა, ბურჟუაზიამ, მან იგდო ხელში მთელი მართვა-გამგეობა, თუმცა მოძრაობაში, შეიარაღებულ შეტაკებებსა და სისხლის ღვრაში უმთავრესი მასსა, მუშათა კლასი იღებდა მონაწილეობას. „მეოთხე წოდება“ მუშათა კლასი ჯერ კიდევ ნორჩი იყო, მას აკლდა, როგორც თავის კლასობრივი ინტერესთა შეგნება, ისე ორგანიზაცია. საფრანგეთის რევოლიუციაში პროლეტარიატის, როგორც პოლიტიკური ძალის, როლი უმნიშვნელოა; ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნე უნდა გასულიყო, რომ მის ორგანიზაციულათ გამოსვლას თავზარი დაეცა ,,წითელი საფრთხით‘‘ შეშინებულ ბურჟუაზიისათვის. ჩვენ ამას ქვევით დაუბრუნდებით.

როგორც საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითზე დავინახეთ, რევოლიუცია არის ისეთი საზოგადოებრივ მოძრაობა, რომელიც მიზნათ ისახავს ერთი სახელმწიფოებრივი წესწყობილება შესცვალოს მეორეთი. რევოლიუცია ახალს სოციალურ-ეკონომიურ შინაარს უფარდებს, უგებს შესაფერს ახალ პოლიტიკურს ორგანიზაციას, აწესრიგებს და განამტკიცებს ახალ საწარმოვო წესით გამოწვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. რევოლიუცია გარდაქმნის საერთო საარსებო პირობებს, საზოგადო ადამიანთა დამოკიდებულებებს. ეს წმინდა მოქალაქეობრივი და უფლებრივი ნგრევა-შენებაა. აქ შედის მრავალ საკითხთა მოწესრიგება: კლასის, წოდების, კერძო პიროვნების მოქალაქეობრივი ცხოვრების საკითხი, სარწმუნოებრივი და, თუ სახელმწიფოებრივი ერთეული, სადაც რევოლიუცია ხდება, შეიცავს სხვა და სხვა ერებს, აგრეთვე ნაციონალურიც. ეროვნული საკითხი რევოლიუციის ერთი მრავალთაგანი გადასაჭრელი საკითხია. აქიდან აშკარაა, თუ რამდენათ არ არის მართალი და ზიზიურია ის შეხედულება რევოლიუციაზე, თითქოს მისი მთავარი საკითხი იყოს ეროვნული, ეროვნულ ინტერესს ექვემდებარებოდეს რევოლიუცია, რომ „ეროვნული საკითხი ისე დიდი საკითხია, როგორც არც ერთი სოციალური საკითხი. არც მიწის, არც შრომის, არც პოლიტიკის რომელიმე დარგის საკითხს ისეთი ძალა-ღირებულება არ აქვს‘‘, ფიქრობენ ჩვენი ნაციონალისტები. (,,სახ. ფურცელი‘‘ 829). პირიქით რევოლიუცია მაშინ მარცხდება სწორეთ, როდესაც საერთო მოქალაქეობრივ უფლებათა მოპოვებამდე აფრიალდება ეროვნული დროშა, როდესაც რევოლიუცია მსხვერპლათ ეძლევა ეროვნებათა ცალკე გამოსვლებს, რომლის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ავსტრიის 1848 წლ. რევოლიუცია.

როგორც მკითხველი მიხვდება, დღეს რუსეთში ხდება საერთოთ, პრინციპიალურათ ისეთივე საზოგადოებრივი პროცესი, როგორც საფრანგეთში 1789 წ, როგორც ყველა თანამედროვე ქვეყნებში, სადაც კი ადგილი ქონდა პოლიტიკურ რევოლიუციას. რუსეთის რევოლიუცია ისეთივე აუცილებელი ფაქტია, ისეთივე შედეგია ზევით ნაჩვენებ ობიექტიურ სოციალურ-ეკონომიურ მიზეზებისა, როგორც ყველგან, კაპიტალისტურ ერთეულებში. ერთი და იგივე მიზეზები იწვევენ ერთ და იმავე შედეგებს. ეს მოძრაობა უსათუოთ უნდა მომხდარიყო დღეს თუ არა ხვალ მაინც. ზოგს გონია, რომ ომი რომ არ ყოფილიყო, რევოლიუცია არ იქნებოდაო. ეს არ არის მართალი, ან ნახევრათ სიმართლეა: შეიძლება ომმა დააჩქარა ეს ფაქტი და რევოლიუციას ერთობ რადიკალური ხასიათი მისცა, მაგრამ ომი არ არის ასეთი საზოგადოებრივი მოძრაობის აუცილებელი მიზეზი, ის მხოლოდ მნიშვნელოვანი საბაბია. რუსეთის ცხოვრებაში იგივე საერთო პირობები მოქმედებდენ, რაც ჩვენ ზევით გავარკვიეთ.

მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობის [illegible] ეკონომიური ცხოვრება თანდათან იცვლებოდა, საწარმოვო ძალები ვითარდებოდა, ქალაქები იზრდებოდა. რუსეთი ნელა, მაგრამ პირდაპირი ხაზით, მიექანებოდა სამრეწველო კაპიტალისტურ წარმოების გზაზე. „მესამე წოდება“ ბურჟუაზია ამ ეკონომიურ პროცესთან ერთათ თანდათან ფეხს იმაგრებდა. დღეს თუ ხვალ მას ხმა უნდა ამოეღო და მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება მოესურვებია. აუცილებლათ უნდა მომხდარიყო შეტაკება ძველ ეკონომიურ ურთიერთობის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა და ახალ კლასის შორის. თავად-აზნაურული თვითმპყრობელობა უნდა დაცემულიყო. რადგანაც მუშათა კლასი ყველაზე უფრო იტანჯებოდა ძველი პოლიტიკური ფორმით. მან 1905 წ. პირველათ სცადა მისი მოსპობა, მაგრამ დამარცხდა, რადგან შეშინებულმა ბურჟუაზიამ მას მხარი არ დაუჭირა. გავიდა 10 წელი მას შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ის რიცხვით გამრავლდა და თვისებით გაოპოზიციონერდა. ომისგან გამოწვეულ პირობების გამო ბურჟუაზია შეკავშირდა. ერობათა კავშირი, ქალაქთა კავშირი, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები—აი მისი ორგანიზაციულად დარაზმვა. მან ისარგებლა ძველი მთავრობის მიერ ცხოვრების დარღვევით და მუშათა კლასის სისხლით და ჯარის დახმარებით დაამხო თვითმპყრობელობა, თავად-აზნაურობას გამოგლიჯა ხელიდან მართვა-გამგეობა და თვითონ დაეპატრონა. ასეთია რუსეთის რევოლიუციის საერთო პრინციპი, ასეთია მისი სქემატიური ისტორიული ახსნა.

რუსეთის რევოლიუცია ბურჟუაზიულია, რასაკვირველია, მაგრამ მისი დამახასიათებელი თვისება, რომლითაც ის დიდათ სხვავდება ყველა აქამდი მომხდარ მსგავსს რევოლიუციებისაგან, არის ის რომ მასში უდიდეს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პროლეტარიატი და სხვა მემარცხენე ელემენტები. ე. ი. განახლებულ რუსეთის მართვა გამგეობაში, რასაკვირველია, ბურჟუაზიული ელემენტები გაბატონდებიან, მაგრამ ამ ბატონობის შეზღუდვა, მომავალი პოლიტიკური წესწყობილების დემოკრატიზაცია და სოციალურ საკითხთა ფართოთ დასმა და გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება პროლეტარიატის ნაჩვენებ როლის შენარჩუნებაზე—ძველი რეჟიმის ლიკვიდაციის ბოლომდი. ამ მხრით საინტერესოა ზოგ ისტორიულ მაგალითების გაცნობა და ჩვენ შევჩერდეთ მათზე შემდეგში.

ალ. ჟორჟოლიანი.

დეპეშები.

(პ. დ. ს. 13—14 აპრ.)

ფრონტის ხიეზდი.

მინსკი. 13 აპრილი. დღის სხდომაზე ირჩევა სურსათის მიწოდების სექციის მოხსენება. მომხსენებელმა შტაბსკაპიტანმა ოსიპოვმა აღნიშნა, რომ ჯარისთვის ფურაჟის, სურსათის და მედიკამენტების მიწოდების საქმის დიდი ნაკლი აქვს, უფრო კარგათაა დაყენებული საქმე საომარ მასალის მიწოდების. მიზეზი ტრანსპორტის მოუწყობლობაა. კრებამ მოისმინა რკინის გზის მუშათა განცხადება, რომლებიც უჩიოდენ გზებზე „მასტერთა“ რიცხვის სიმრავლის და მუშათა რიცხვის სიმცირის და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ის მუშებიც პირველყოვლისა სალონ-ვაგონების რემონტზე არიან დაყენებული და ამით საქმე ფერხდება. ორატორი ჯარისკაცები წინადადებას იძლევიან—კრებამ მოწოდებით მიმართოს ვაჭრებს, ფაბრიკანტებს, სასულიერო წოდებას და საერთოთ მქონებელ კლასებს, რომ მან ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დაცვის საქმეში.

წაკითხულ იქნა შემდეგი განცხადება: „პრესასა და საზოგადოებაში ზოგიერთი პირები ბრალს სდებენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, თითქოს მდ. სტახოდზე ჩვენი ჯარის დამარცხება შედეგი იყოს მათი მოქმედების. ამაზე ხელის მომწერნი ბრძოლის მახლობლათ მყოფნი და აგრეთვე მისი პირდაპირი მონაწილენი აცხადებენ, რომ ასეთი ბრალდება საზიზღარი ცილისწამებაა. ყველა სამხედრო პირები, რომელნიც კი შედიოდენ იმ კორპუსში, რომელიც მდ. სტოხოდის მარცხენა ნაპირზე იდგა, უბრალო ჯარისკაციდან დაწყებული სარდლით გათავებული, იმ აზრის იყვნენ, რომ ამ პლაცდასმაზე დარჩენა გაზაფხულამდე შეუძლებელია, რომ საჭიროა ან შეტევა და ფრონტის გაფართოვება, ან უბრძოლველათ პლაცდასმის დათმობა, და მდ. ონისის მარჯვენა მხარეზე გადასვლა. რომ წყალდიდობის დაწყებისას მტერმა დიდის ზარალით არ დაგვატოვებინოსო, მაგრამ ჯარის უფროსებმა ვერ გაუძლეს მტრის არტილერიის ძლიერ, განუწყვეტელ სროლას; მარცხენა მხარის დამცველნი მოწყვეტილი აღმოჩნდენ მთავარ ძალისაგან და მიუხედავათ გმირული წინააღმდეგობისა ძლეულ იქნენ მტრის სიმრავლისაგან. ზოგიერთი პოლკები რამოდენიმეჯერ მიდიოდენ კონტრ-იერიშით მტრის თავდამსხმელ რაზმებზე და სწყვეტდენ მათ. იმ თითო-ოროლა დაჭრილების სიტყვით, რომელთაც მდ. სტოხოდის მარჯვენა ნაპირს მიაღწიეს, საშუალო გორაზე მდგომი ნაწილები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ მტერს. აფიცრები და ჯარისკაცები ბრძოლის ველზე დაეცენ.

24 საათი გაგრძელდა ეს საშინელი სისხლის ღვრა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჯარში დისციპლინა ოდნავაც არ შერყეულა. ჯარისკაცებმა და აფიცრობამ შეასრულა თავისი ვალი და ფიცი თავისუფალ სამშობლოს წინაშე. გერმანელებმა მხოლოდ მათ გაცივებულ გვამებზე გადაბიჯების შემდეგ მიაღწიეს მდ. სტოხოდის ნაპირებს. ამ ტრაგედიაში დამნაშავე გენერლები ლეში და იანუშკევიჩი გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან და მათ საქმეზე გამოძიება სწარმოებს“. განცხადებას ხელს აწერენ 25 აფიცერი და მრავალი ჯარისკაცი.

ფრონტის არტილერიის უფროსი აცხადებს, რომ შტაბი ამ კატასტროფაში დამნაშავეთ სთვლის გენ. ლეშსა და იანუშკევიჩს, რომელნიც ირწმუნებოდენ, მზათ ვართ თავდასხმისთვისო და იმავე დროს მომზადებული არ იყვნენ.

ომის მონაწილე ჯარისკაცი წრფელი სიტყვებით მოუთხრობს კრებას, როგორ დალია სული მის წინ თოფით ხელში პოლკოვნიკმა კუშევმა. მთელი კრება ფეხზე დგება კუშევის ხსოვნის პატივსაცემლათ და გაისმის ,,საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“. ბევრნი პირჯვარს ისახავენ.

ფრონტის ყრილობის დადგენილება.

მინსკის ფრონტის ყრილობაზე დაადგინეს ზავის შესახებ რეზოლიუციები გერმანულ ენაზედაც დაბეჭდონ და ეს რეზოლიუციები მტრის წინა პოზიციებში გადაყარონ. მუშათა საკითხის შესახებ ყრილობამ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების რეზოლიუცია მიიღო. გარდა ამისა დასახელებულ ყრილობაზე დაადგინეს—არ იქნეს დაარსებული განსაკუთრებული რევოლიუციონური არმიის ორგანიზაცია, პირიქით, ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები უნდა გაერთიანდენ და შეთანხმებულათ იმოქმედონ.

მუშათა საბჭო.

მოსკოვი. 13 აპრ. საფრანგეთის და ინგლისის მუშათა დელეგატებმა დაესწრნენ მუშათა და ჯ.-კ.-ცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომას.

საფრანგეთის სოციალისტთა წარმომადგენელმა კაშენმა განაცხადა: რუსეთის თვითმპყრობელობის ჩამოგდებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის დემოკრატიაზე. მშვიდობიანობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე. ომი უნდა ბოლომდე მივიყვანოთო. ინგლისის სოციალისტთა დელეგატმა ოგგრედიმ აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლიუციას დიდი თანაგრძნობით შეეგება ინგლისის ხალხი, რომ ინგლისის ხალხი იბრძოლებს მანამდე, სანამ ის შემუსრავს მილიტარიზმს. „ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ომი, სთქვა დელეგატმა, სანამ სრულ გამარჯვებას არ მოვიპოვებთ და იმედი გვაქვს, რუსეთის დემოკრატიაც ამავე პოზიციაზე დადგებაო“.

არეულობა შვეციაში.

სტოკჰოლმი. 13 აპრ. შვეციის ბევრ პროვინციის ქალაქებში დემონსტრაციები გაიმართა სურსათის გაძვირების ნიადაგზე.

სტოკჰოლმში სამხედრო უფროსებმა ჯარისკაცთ აუკრძალეს მემარცხენეთა მიტინგებზე დასწრება, რამაც დიდი საპროტესტო მანიფესტაციები გამოიწვია. პოლიცია ხმლებით დაერია მანიფესტანტებს. არის დაჭრილები. მთავრობამ, რიკსდაგის თავმჯდომარემ, პარტიათა ლიდერებმა, არქიეპისკოპოსმა მაგისტრატის თავმჯდომარემ და სხვა და სხვა დაწესებულებათა თავმჯდომარეებმა მოწოდება გამოსცეს მცხოვრებთადმი, რომელშიაც სთხოვენ დაუთმონ მუშებს პურის ბარათები, რომლითაც მათ თავისთვის არ უსარგებლიათ.

პირველ მაისობის შიში.

კოპენჰაგენი. სასტუმროები აივსო შვედებით, რომელნიც გამოქცეულან 1 მაისობის მოსალოდნელ არეულობის შიშით.

აგრარული მოძრაობა.

ლუკიანოვო. 13 აპრ. ფილოსოფოვის მამულში ს. ტაშკინში გლეხებმა მიითვისეს პური, სათესლე ქერი, საქონელი და ცხენები, გარეკეს მოსამსახურენი და მუშები, ხელი ააღებინეს მუშაობაზე ტყვეებს. მამულის მოურავმა კომისარს მიმართა თხოვნით დაგვიფარეთო.

სიმიონოვი. თემის წევრმა გლეხებმა ს. ზახაროვოში დაიყვეს თემიდან გამოყოფილ გლეხთა მიწები, საქმის მოსაგვარებლათ ჩავიდნენ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და სამაზრო კომისარი. მარა მოლაპარაკებამ არ გასჭრა.

სენატორი ბუტი.

ვაშინგტონი. სენატორი ბუტი დათანხმდა იმ მისიის მეთაურობას, რომელიც ამერიკიდან რუსეთში მოემგზავრება.

რეიხსრატის მოწვევა ავსტრიაში.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: მთავრობამ გადაწყვიტა მოიწვიოს რეიხსრატი 17 მაისს, მას გადასაწყვეტათ გადაეცემა სასურსათო საკითხი და აგრეთვე სხვა საკითხებიც, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ხასიათის, რომელთაც კავშირი აქვს ომთან.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგის სხდომები შეწყვეტილია 19 აპრილამდე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კანონთა 102 მუხლი.

იუსტიციის სამინისტროს საგანგებო კომისიამ ვ. ა. მაკლაკოვის თავმჯდომარეობით გადასწყვიტა გააუქმოს ცნობილი 202 მუხლი, რომლის ძალით ,,არსებულ წესწყობილების მტრებს“ (პოლიტიკურებს) ასამართლებდენ.

კუროპატკინის პასუხისგებაში მიცემა.

ლატიშელ ჟურნალისტთა ჯგუფი პასუხისგებაში აძლევს გენერალ კუროპატკინს. გენერალს, სხვათა შორის, ბრალათ ედება ლატიშელ მზვერავთა ღალატი და ნემეცების ხელში გადაცემა.

ნიკოლოზ რომანოვის ქონება.

ამერიკელი ჟურნალისტი დიუკენი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ყოფილი მეფის დავალებით ელჩმა ბახმეტიევმა ნიკოლოზ რომანოვის სახელზე ფული შეიტანა შემდეგ დაწესებულებებში: პენსილვანიის რკინის გზის ამხანაგობაში—50 მილიონი დოლარი (ორი მანეთია თითო დოლარი). ნიუ-იორკის ამხანაგობაში—10 მილიონი, ბალტიმორისაში—5 მილიონი და ნიუ-იორკისაში—5 მილიონი.

საგრადონაჩალნიკოს გაუქმება.

დროებითი რევოლიუციონურ მთავრობის განკარგულებით გაუქმდა იალტის საგრადონაჩალნიკო და მოსკოვის საგენერალ-გუბერნატორო.

გზათა მინისტრის განკარგულება.

გზათა მინისტრმა გადასწყვიტა კერძო რკინის გზებზე ზედამხედველობა გააძლიეროს და იქ საგანგებო კომისარები დანიშნოს.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 14 აპრილი. აღმოსავლეთ ფრონტზე მოწინავე და მზვერავი რაზმები იბრძვიან. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, შელვოვას რაიონში ბრძოლა ხელით სასროლ ნაღმების საშუალებით სწარმოებს.

რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა. ქალაქ გალაცს მტერმა ზარბაზნის ყუმბარები დაუშინა.

კავკასიის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა. შავი ზღვის ნაპირებთან, ბაფრა-სამსუნის რაიონში მტრის საწყობები ააფეთქეთ და ჩავძირეთ 10 მეტი იალქნიანი ნავი.

პარიზი. 13 აპრილი. ბელგიის ფრონტზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა. მდ. ენის იქით მდებარე მტრის სანგრებს ყუმბარები დავუშინეთ. შმენ-დე დამის რაიონში მტერს იერიშების მოტანა აღარ განუხლებია. გიურტებიზის ფერმასთან საარტილერიო ბრძოლაა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირთან, ავოკურის ტყესთან გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 12 აპრილი. საზღვაო მინისტრის ცნობით გერმანიის კონტრ-ნაღმოსნები გაშლილ ზღვაში გამოვიდნენ, ქ. დიუნკერკს ყუმბარები დაუშინეს. ჩვენმა სანაპირო ბატარეებმა სროლით უპასუხეს. აქ მათ შეხვდნენ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო გემები, რომ-

ლის შემდეგაც მტრის კონტრნაღმოსნებმა ოსტენდესკენ დაიხიეს. დასახლებულ ბრძოლის დროს ერთი ჩვენი ნაღმოსანი ჩაიძირა. მტრის ზარალი გამოურკვეველია.

ლონდონი. 12 აპრილი. ინგლისის მთავარი შტაბის ცნობით საფრანგეთის ფრონტზე ინგლისის ჯარმა სოფ. ბილხემი დაიკავა. გაუმარჯვნიათ აგრეთვე, მდ. გოჟოლთან და სკარპოსთან. ტყვით წამოუყვანიათ 3029 მეომარი, ამათ შორის 56 აფიცერია.

დეპეშები.

(საკ. კორესპ.).

აბაშა. აბაშის რაიონის დეზერტირები ბროშურით გამოცხადდენ სენაკის სამხედრო უფროსთან და ჯარში დაბრუნების სურვილი განაცხადეს. ისინი სთხოვენ დანარჩენთ—შემოგვიერთდით და ვიბრძოლოთ რევოლიუციის გასამარჯვებლათ. **ქობულია.**

კატაროს ქარხანა. 25 მარტს შესდგა ჯულფა-ბაქოს გზის მოსამსახურეთა კრება. მიიღეს სოციალდემოკრატიის ლოზუნგები. გაეგზავნა მისალმების დეპეშა ჩხეიძეს და როძიანკოს. აირჩა აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. საჭიროა ცენტრალურ კომიტეტთან კავშირი.

მისამართი: კატარის ქარხნები, ი. ყაჭეიშვილს.

დანალაუ. კავკასიის მომქმედი არმია. ჯარში სულიერი განწყობილება საუცხოვოა. წესიერება და დისციპლინა დაცულია. იზიარებენ პეტროგრ. თათბირის რეზოლიუციებს. დიდი მოთხოვნილებაა გაზეთების.

ჯარისკაცთა საბჭოს თფილისის აღმ. კომიტ.
კომისარი ბ. ნიკურაძე.

ახალი ამბები

კაკი წერეთლის წინადადება დროებითი მთავრობის მიმართ. თფ. მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების საბჭოს წინადადებით კაკი წერეთელმა ინახულა დროებითი მთავრობა და მოსთხოვა მას, რომ ადგილობრივი რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან მოულაპარაკებლათ არ გადადგას არც ერთი სერიოზული ნაბიჯი. მთავრობამ აღუთქვა ამ მოთხოვნის შესრულება. ამიერიდან არც ერთი სერიოზული ეკონომიური, პოლიტიკური ზომა არ იქნება განხორციელებული, თუ წინასწარ არ იქნა განხილული მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭოების და აგრეთვე სხვა რევოლიუციონური ორგანიზაციების მიერ.

◆ **კავკასიის მართვა-გამგეობის საქმე.** ამიერ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ხარლამოვმა პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: დროებით მთავრობაში არ აღძრულა კითხვა კავკასიაში უმაღლესი მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი ელის კომიტეტისაგან დაწვრილებითი ცნობებს, რომლითაც მთავრობა იხელმძღვანელებს კავკასიის მართვა-გამგეობის ორგანიზაციის შემუშავების დროს.

◆ პროლეტარები ყველა ქვეყნისა უქმობს მუშათა დღეს 18 აპრილს ახალი სტილით, და ჩვენც თფილისის მუშა-ფარმაცევტები ვუერთდებით რა ამ დღესასწაულს, რომ ხალხი არ ჩავაგდოთ უხერხულ მდგომარეობაში უწამლობის გამო აფთიაქი არ იქნება დაკეტილი, მაგრამ იმუშავებენ რამდენიმე პირი და მიიღებენ გასაკეთებლათ მხოლოდ ისეთ წამლებს, რომელიც აუცილებელია ავათმყოფობისთვის. თფილისის მუშა-ფარმაცევტების კავშირი.

◆ **მოსე ჯანველოვი,** რომელიც დაპატიმრებული იყო, აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით უკვე გაანთავისუფლეს, ვინაიდან მასზე მიტანილი ეჭვები მართალი არ გამოდგა.

◆ **პროპაგანდისტების მოსამზადებელი კლასები,** რასაც მუშათა დეპუტატების საბჭო აწყობს, გაიხსნება ამ დღეებში პირველი გიმნაზიის დარბაზში, გოლოვინის პროსპექტზე.

◆ **კრება.** დღეს 16 აპრილს დანიშნულია თფილისის პარიკმახერ-დალაქ მუშათა საზოგადო კრება. განსახილველია პირველ მაისის დღესასწაული და რვა საათის სამუშაო დღე. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ უსათუოდ თფილისის სახელოსნო უპრავაში დილის 11 საათზე. პროფესიონალური კავშირის გამგეობა.

◆ **ბავშვთა მფარველობის საზოგადოება.** კვირას, 16 აპრილს დილის 9 საათზე ნაძალადევის თეატრთან, მოწვეულნი არიან ბავშვთა აღზრდაში და გასართობებში დახელოვნებული გამოჩენილი პედაგოგები. ამ მიტინგის მიზანია შესდგეს საზოგადოება ბავშვთა მფარველობისა, რომელიც იკისრებს სწავლა-განათლების გაუმჯობესებას, გასართობ სამუშაოების მოწყობას, ბიბლიოთეკას და ბავშვთა სახლის დაარსებას, ექსკურსიების გამართვას და სხვ. სთხოვენ მოქალაქეთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ.

◆ **ტეხნიკების კრება.** კვირას 16 აპრილს საღამოს 6 საათზე, თფილისის სადგურის წინა ოთახებში დანიშნულია საერთო კრება გადაუდებელ კითხვების გასარჩევათ. ვთხოვთ ყველა დარგის მომუშავე ტეხნიკებსა, რომ გამოცხადდენ დანიშნულ დროზე. დროებითი პრეზიდიუმი.

◆ ამ დღეებში ქალაქში გაიმართა **შულავერის წარმომადგენელთა კრება.** აირჩიეს კომიტეტი კულტურულ და სასურსათო საქმეთა მოსაწყობათ. ბ-ნმა ჩილინგარიანმა შესწირა 1000 მ. საკვირაო სკოლის მოსაწყობათ.

◆ მუშაობს **სრულიად რუსეთის სომხების სიეზდის მომწყობი კომისია.** სიეზდი გაიხსნება ქ. ერევანში. დასწრების უფლება აქვთ ოსმალეთის სომხების წარმომადგენლებსაც, მხოლოდ სათათბირო ხმით.

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ** კახეთიდან და მეღვინეობის სხვა რაიონიდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ღვინის გაყიდვის აკრძალვა ბადებს კითხვას: შეიძინონ ვენახის საქმიანო და სამუშაო საშუალებანი, თუ რა გზას დაადგნენ.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** 14 აპრილს ღამით, უცნობმა ავტომობილმა გადაუარა და სასიკვდილოთ დააშავა ბ-ნი ოსიპოვი.

◆ ამ დღეებში ცნობილი ანდრონიკის ინიციატივით თფილისში გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ჰაისტან“ (სომხეთი) სახელწოდებით.

◆ ქ. სოხუმში ამ დღეებში მოხდა **სამღვდელოების და მრევლის კრება.** გადააყენეს ეპისკოპოსი სერგი, რომელიც ქალაქში წამოსულა.

◆ **იოვანე ღვთისმეტყველის მონასტერში,** სადაც არქიმანდრიტი ნაზარი იყო გამგეთ, ხაზინის აღმასრულებელ კომიტეტს ბოროტმოქმედება აღმოუჩენია.

◆ გუშინ, 15 აპრილს თფილისის მალაკანთა დელეგაცია წარუდგა ამიერ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ა. ხარლამოვს.

◆ **მზადდება პირველ მაისისათვის** მუშათა გუნდები ინტერნაციონალურ სიმღერების შესასწავლათ. ამ მიზნით დღეს დილის 10 საათზე ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოების სადგომში, კრილოვის ქ. № 10, დანიშნულია გუნდის კრება. მსურველთ შეუძლიან დასწრება.

◆ **იპოვნეს** დოკუმენტები ალექსანდრე გრიგორის ძე მინაშვილისა. პატრონს შეუძლია მოიკითხოს მეორე უბნის კომისართან.

◆ **დღეს, 16 აპრილს,** დილის 10 საათზე ავლაბრის კლუბში დანიშნულია: ავლაბრის, ნავთლუღის და ორთაჭალის სოც. რევოლ. მუშათა კრება ორგანიზაციული კითხვების გასარკვევათ და სარაიონო კომიტეტის ასარჩევათ.

◆ **კავკასიის ფერშალთა საზოგადოება** მონაწილეობას ღებულობს პირველ მაისის დღესასწაულში და იმ დღისათვის აწყობს ავტომობილით სწრაფ დახმარებას. საზოგადოების გამგეობა სთხოვს ყველა ქალაქის ფერშლებს 1 მაის (16 აპრილს) დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ გამოცხადდენ დილის ცხრა საათზე 1—5 უბანში მცხოვრებნი შემილის აფთიაქთან, ხოლო დანარჩენი უბნებიდან კიროჩნის და მიხაილოვის ქუჩების კუთხეში.

◆ **თფილისის სასურსათო კომიტეტი,** სთხოვს კომიტეტის წევრებს და სარაიონო სასურსათო კომიტეტების წარმომადგენლებს დაესწრონ კრებაზე დღეს, 16 აპრილს 7 ნახ. საათზე ქალაქის სამმართველოში.

◆ **ამხანაგებო ოჯახებში მოსამსახურენო!** მოგიწოდებთ ყველას განურჩევლათ სქესისა და სამსახურის სხვადასხვაობისა მოგროვდეთ ერევნის მოედანზე 18 აპრილს 8 ნახ. საათზე, რათა ღირსეულათ შევხვდეთ პირველ მაისის დღესასწაულს. დეე დაინახონ ჩვენმა ბატონ-პატრონებმა (როგორც თითონ უწოდებენ თავიანთ თავს), რომ ჩვენც შეგვძლიან ორგანიზაციულად შეკავშირება და მუშათა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება. პირველი მაისი მუშისაა, გაუმარჯოს პირველ მაისს და მასთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. გამგეობის წევრი რეფ.

◆ **ახალი წიგნი.** ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა რუსულ ენაზე ბროშიურა: „მუშაბეჭდვითი სიტყვის ისტორია“. გაზ. „კავკ. რაბოჩი“-ს გამოცემა. ფასი 30 კაპ. კოლექტიურ ხელის მოწერით თუ შეიძენენ არა ნაკლებ ასი ცალისა, წიგნაკი 25 კ. დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება „კავკ. რაბოჩი“-ს რედაქციაში (ბარონის ქ. № 14).

◆ **ჰინჩაკისტების კრება.** დღის სალ. 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია სოც.-დემოკრატიულ პარტიის „ჰინჩაკისტების“ კრება პირველ მაისის (18 აპრილის) უქმობის შესახებ. პარტიის წევრებს და თანამგრძნობებს სთხოვენ დაესწრონ ამ კრებას.

◆ **მუშა ქალების კრება.** ორშაბათს, 17 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე ავლაბრის კლუბში დანიშნულია კრება, რომელზედაც მოწვეულია ყველა ქალები განურჩევლად ეროვნებისა, რომლებიც ცხოვრობენ თავის შრომით, მათ შორის ფაბრიკა ქარხნების მუშა ქალები, ხელზე მოსამსახურენი, მკერავები და სხვები. კრებას მიზნათ აქვს აუხსნას მუშა ქალებს ეკონომიური და პოლიტიკური კითხვები.

◆ ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირის რესტორნების, კლუბების, სასტუმროების, სახაიე-საყავეების გამგეობამ გადასწყვიტა იუქმოს დიადი დღესასწაული მუშათა კლასისა პირველი მაისი, ახალი სტილით 18 აპრილი. თანახმათ გადაწყვეტილებისა გამგეობა აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ ყოველივე დაწესებულების ამხანაგები ამ დღის არც დღით და არც ღამით არ იმუშავებენ, მხოლოდ დარჩება შემცირებული შტატი ნომრებში. წევრებმა 18 ამ თვეს დილით 8 საათზე უნდა მოიყარონ თავი საზოგადოების კანტორასთან.

◆ **ახალციხე.** გადააყენეს გიმნაზიის დირექტორი ცნობილი კორიცკი, დროებით მის მოადგილეთ აირჩიეს დანელია.

◆ **გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი:** სოფ. საცხურიდან დეპ. ჩხეიძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: გმირი არ საჭიროებს სხვების მონაწილეობას მწუხარებაში. ღრმა მწუხარებით გიცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას. თფ. გუბ., გორის მაზ., ს. საცხურის მცხოვრებთა მონდობილობით ბარბარე ხერხეულიძე.

პროვინციის ქრონიკა.

ნიგოითი. 9 აპრილს ნიგოითის საზოგადოების ფართო კრებამ მოისმინა რა სამწუხარო ამბავი საყვარელი დეპუტატის კარლო ჩხეიძის ვაჟის ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, დაავალა ადგილობრივ კომიტეტს გაეგზავნოს ჩხეიძეს სამძიმრის დეპეშა საზოგადოების სახელით.

— ნიგოითის აღმასრულებელ კომიტეტს ხარჯების დასაფარავად მათე გორგილაძემ შემოსწირა 20 მან.

— ოლღა ბესარიონ ჯაშის ასულმა, ქვიანის უფასო სამკითხველოს შემოსწირა ათი მან., ნაცვლად გვირგვინისა უდროოდ დაკარგულ ჯარისკაცის ვარლამ პავლესძე ფირცხალაიშვილის სახსოვრად.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

თფილისის ორგანიზაციის პირველი რაიონის კრება.

14 აპრილს საღამოს 5 ნახ. საათზე „ნაძალადევის“ თეატრში მოხდა კრება პირველი რაიონისა, რომელშიც შედის მთავარი სახელოსნო, დეპო, მოძრაობის მუშები და საერთოთ ნაძალადევი და დიდუბე. კრებას დაესწრო 560 პარტიის წევრი. ბევრი უადგილობის გამო უკან გაბრუნდა.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ნოე რამიშვილი და მდივნათ დავით ხართიშვილი. დღის წესრიგში დაისვა კითხვები: საორგანიზაციო კომისიის მოხსენება, რაიონის კოლექტივის მოვალეობა, კოლექტივის არჩევნები და პირველი მაისის დღესასწაული. თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება გააკეთა თანამედროვე ვითარებაზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეს საშუალება გვეძლევა აშკარათ მოვაწყოთ სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია. რაიონის კოლექტივის მოვალეობა იქნება ახალ წევრთა მიღება, ამ მიზნით ფართო აგიტაციის გაწევა, მიტინგების მოწყობა, სისტემატიური ლექციებისა და კურსების გამართვა პარტიის პროგრამული კითხვების გასაშუქებლათ, ისტორიული მატერიალიზმისა, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა სამეცნიერო დარგების შესასწავლად და სხვ. მოკლეთ, საჭიროა ფართო მუშაობის გაშლა, რაც უნდა დაევალოს რაიონის კოლექტივს თფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით. კრებამ წინადადება ერთხმათ მიიღო.

შემდეგ გადასწყდა არჩეულ იქმნას დროებითი სარაიონო კოლექტივი, რომელიც 1 თუ 2 თვის განმავლობაში უფრო ფართო კრებას მოიწვევს, როცა პარტიის წევრთა ჩაწერა დამთავრებული იქნება და სადაც არჩეულ იქნება მუდმივი კოლექტივი. კრებაზე გადასწყდა დროებით კოლექტივში არჩეულ იქნას წარმომადგენლები ყველა ცეხისა და საწარმოვო დარგიდან, სულ 20 კაცი. არჩეული არიან: ტილიშვილი, მერაბაშვილი, დავით დვალი, გალუშკინი, ლორთქიფანიძე, ნიკურაძე, ჯაბაური, გიორგი ნინუა, გიორგი შალუტაშვილი, გიორგი ქლენტი (ჯ რისკაცი), სადაგაშვილი, ივანე ზუბკოვი, დავ. კ ხელაძე, გრ. ცინცაძე, მირზოიანცი, ლუკაშევიჩი, სიხარულიძე, კუპრაშვილი და ბაცანგლიშვილი. ერთ წარმომადგენელს კიდევ ჯარისკაცები გამოგზავნიან.

თავმჯდომარე მიესალმა ახლათ არჩეულ კოლექტივს და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა დაკისრებულ მოვალეობათა ასასრულებლათ; შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ არჩეულია, სხვათა შორის, დავით დვალი, რომელმაც პარტიის წევრობისათვის დიდი ტანჯვა-წვალება (კატორღა) გადაიტანა. კრებამ ოვაცია გაუმართა ამხ. დვალს.

დასასრულ კრებამ მოისმინა თფილისის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმა პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ, რომელიც მომავალ სამშაბათს გაიმართება, და ის მოიწონა.

კრება დაიხურა ღამის 10 საათზე.

ქ. ტრაპიზონი.

2 აპრილს აქ შესდგა დამფუძნებელი კრება ადგილობრივ სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციისა. კრებას დაესწრო 50 კაცი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ემელიანე ლომთათიძე, მდივნათ—ირაკლი ჟორჟაძე. თავმჯდომარე ხსნის რა კრებას, ესალმება მას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

მუშავდება დღის წესრიგი. პირველათ კამათი იმართება ხელმძღვანელ კომიტეტის არჩევის შესახებ. კრება ადგენს აირჩიოს კომიტეტში 7 კაცი, მხოლოდ არჩევნები მოხდეს კრების ბოლოს. ითვალისწინებს რა კრება თავის მომავალ სამუშაოს, ადგენს: დიდი ყურადღება მიექცეს პროპაგანდისტთა ჯგუფის მოწყობას და საერთოდ პროპაგანდის საქმის მოწესრიგებას, რაც ასე აუცილებელია, რომ არჩევნების დროს გამოვიდეთ საკუთარი გარკვეული სახით და პროგრამით. აუცილებელ საჭიროებათ აღიარებულ იქმნა ს.-დ. კლუბის დაარსება და პარტიული ლიტერატურის შეძენა. კრება ადგენს: მიეწყოს, რაც შეიძლება მალე, კავშირი კავკასიის ცენტრალურ ორგანიზაციასთან, რათა ადგილობრივი მუშაობა იყოს ნაყოფიერი და მიზნის შესაფერი. ყოველივე ამის მოგვარება დაევალა კომიტეტს, რომელიც არჩეულ იქმნა ფარული კენჭის ყრით. კომიტეტში აირჩიეს: მელუმიანცი, ვიქ. ჰედია, ანდრო ხოფერია, ბესარ. კვირკველია, ვალიკო მერკვილაძე, სამს. მდინარაძე, ემელიანე ლომთათიძე. მათ კანდიდატებათ: ცომაია, ნესტ. რამიშვილი, ტარასი გუნია, ბოჭორიშვილი და ირაკლი ჟორჟაძე. კრებას ეს კომიტეტი მიაჩნია დროებით ორგანიზაციათ, როცა პარტიის წევრთა რიცხვი გადიდდება, რისთვისაც მიღებულია ზომები (გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთში, რომ ყველა ამხანაგები ჩაეწერონ ორგანიზაციაში წევრებათ.—წევრთა მიღება მოხდება „ერთობაში“ გამოქვეყნებული წესის მიხედვით), მაშინ მრავალრიცხოვანი კრება აირჩევს ახალ კომიტეტს. **ხინუსი.**

დ. ხონი.

იმის შემდეგ, რაც აქ პოლიტიკური კლუბი გავხსენით—პარტიული მუშაობა უფრო მწყობრათ მიმდინარეობს. აქ საბოლოოთ მოეწყო პროპაგანდისტთა წრე. ძალები საკმარისია. ერთი კვირის განმავლობაში ეს წრე მეცადინეობდა. წრეში არკვევდენ თუ რა საკითხებით გავიდნენ დღეს სოფლათ და როგორ უნდა იქნას გაშუქებული ესა თუ ის სადღეისო კითხვები. ამხანაგები ამ მუშაობას ხალისით და ინტერესით ეკიდებიან. ამ წინასწარ მუშაობის დამთავრების შემდეგ ერთხმათ გადაწყდა გავიდნენ სოფლათ. თუმცა დღემდისაც მუშაობდენ სოფლებში, მაგრამ ამ ჟამათ ხსენებულ მუშაობას მთლიანი, ორგანიზ. ხასიათი ეძლევა. მთელი ხონის რაიონი გაინაწილეს. თითო საზოგადოებაში სამი ოთხი ამხანაგი მიდის. ერთი კვირის განმავლობაში პარტიულ ორგანიზაციებს ყველგან აღვადგენთ. პროპაგანდისტების მუშაობას ხელმძღვანელობს დროებითი რაიონული კოლექტივი.

ჩვენს პოლიტიკურ კლუბში მეცადინეობა ყოველ დღეა. პარტიულ ამხანაგების ჩაწერა გრძელდება. მალე მოხდება პარტიული დამფუძნებელი კრება. ამხანაგები საჭიროთ სთვლიან, რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას მოწვეული ამიერ-კავკასიის ს. დ. კონფერენცია. **რუ—ილ.**

ქ. ბათუმი.

რ. ს.-დ. მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტმა დაადგინა: 18 აპრილს იდღესასწაულოს პირველი მაისობა. გამოიცეს სათანადო ფურცლები. მუშაობა უნდა შეწყდეს ყველგან ისეთ დაწესებულებაში კი, სადაც აუცილებელი მუშაობა, ადგილობრივ გამოირკვეს საჭირო რიცხვი მუშებისა, დანარჩენები დღესასწაულობენ. მიტინგი უნდა გაიმართოს სამს ადგილას: 1. თათრის ბაზრის მოედანზე, 2. მოედან აზიზიეზე და 3. ქალაქის თვითმართველობის ეზოში. მიტინგი აზიზიედან გამოუვლის ქალ. თვითმართველობის მიტინგს, აქედან შეუერთდებიან თათრის ბაზრის მიტინგს და ერთად გასწევენ რევოლიუციის მსხვერპლთა საძმო საფლავისაკენ. პირველ რიგში მოიხსენიებენ ბათუმში 9 მარტს 1902 წ. მომხდარ პირველ მანიფესტაციაზე დახოცილთ. დღესასწაულის გეგმის დეტალურათ შესამუშავებლათ არჩეულია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია.

პირველი მაისის (18 IV) დღესასწაულის წეს-რიგი,

რომელსაც რუს. სოც.-დემ. მუშ. პარ. თფილისის კომიტეტი აწყობს და ხელმძღვანელობს.

1) 1 მაისის დღესასწაული დანიშნულია 18 აპრილს ახალი სტილით.

2) სადღესასწაულო ადგილია, რევოლიუციის მოედანი, (ნახალოვკა ნაძალადევი).

3) შესაკრები პუნქტები: ა) ვერა (ნაწ.) ფიქრის გორა, ჯვართან, პროცესია დაიძრება 9 საათზე, მარშრუტი: ოლგის ქუჩა, ვერის ხიდი, კიროჩნი ქუჩა, ჩერქეზოვის ქუჩა.

ბ) ერევნის მოედანი (2—3—4 უბანი). პროცესია დაიძრება დილის 9 საათზე. მარშრუტი: სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ვერის დაღმართი და ხიდი, კიროჩნი ქუჩა, ჩერქეზოვის ქუჩა.

4) მაიდანი (5 უბანი). გამოსვლის დრო დილის 8 საათი. მაშრუტი: ავლაბრის ხიდი, 19 თებერვლისა და ჩერქეზიშვილის ქუჩა.

გ) „არმუზნი“ მოედანი, 5 უბანი. გამოვლენ დილის 8 საათზე, მარშრუტი: ვორონცოვის ქუჩა, ავლაბრის ხიდი, 19 თებერვლის და ჩერქეზოვის ქუჩები.

დ) ავლაბარი—ნავთლუღი: 6—7 უბანი. შესაკრები პუნქტი თფილისის პოლკის ყაზარმებთან, კახეთის ქუჩაზე, გამოსვლა დილის 8 საათი. მარშრუტი: კახეთის ქუჩა, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხაილოვის ქუჩა, მილიუტინის, ქსენიას და ჩერქეზოვის ქუჩები.

ე) შესაკრები ადგილი—ნემეცების სასაფლაო (9 უბნის)—ავჭალის მოედანი. დაიძვრის 9 საათზე. მარშრუტი: ჩერქეზიშვილის ქუჩა.

ვ) ტრამვაის პარკი. გამოსვლა 9 ნახ. საათზე. მარშრუტი: მუშტაიდის ქუჩა, ტამოვის, მალაკნის და ჩერქეზოვის ქუჩები.

ზ) იკრიბებიან [illegible] მოედანზე 11—12 უბნის მოქალაქენი.

ამხანაგი ჯარისკაცები შეუერთდებიან მოზოგად მუშებს.

5) პროცესიის წესრიგს ხელმძღვანელობს ფაბრიკა-ქარხნებიდან საგანგებოდ არჩეულნი.

6) წესრიგის დასამყარებლად უმორჩილესად გთხოვთ დაემორჩილოთ ამხანაგების განკარგულებას, რომელთაც მკლავზე წითელი ლენტი ექნებათ.

7) ვისაც სურს პროცესიაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიეკედლოს ერთ-ერთ პუნქტს, საიდანაც იწყება სარაიონო პროცესია. გთხოვთ ნუ შეუერთდებით გზაში—ეს წესრიგის დარღვევას გამოიწვევს.

როგორ უნდა მოეწყოს კოლონის ორგანიზაცია.

1) ფაბრიკა-ქარხნებში ამხანაგები ირჩევენ ას კაცზე თითო ხელმძღვანელს. არჩეული ხელმძღვანელები ირჩევენ მთავარ მოწესრიგეს.

2) კერძო ხალხი და დაწესებულებანი (ქარხნებისა და სასწავლებლების გარდა) ირაზმებიან თავშესაყარ პუნქტზე.

3) კერძო ხალხის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მუშები.

4) კოლონა შესდგება ამნაირათ: რიგში დგას 10 კაცი ქუჩის სიგანეზე და ხელი-ხელ ჩაკიდებული. თითო კოლონაში 10 რიგია, თითო კოლონა შესაფერი მანძილითაა ერთმანეთიდან დაშორებული; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ წესრიგს.

5) კოლონებს წინ მიუძღვის მოწესრიგე.

6) კოლონა მწყობრად მიდის დანიშნულ პუნქტისაკენ.

7) კოლონებს ადგილს მიუჩენს განსაკუთრებული მოწესე.

8) გასაჩერებელი სიგნალი თეთრი დროშაა. ასწევს თუ არა თეთრ დროშას მოწესრიგე, ყველანი უნდა გაჩერდენ.

9) პროცესიის გაჩერება მხოლოდ მოწესრიგეთ შეუძლიათ.

10) თითო რაიონში დაინიშნება რაიონის მოწესრიგე, რომელსაც ყველანი ემორჩილებიან.

11) ზეიმის დღეს აკრძალულია იმ ქუჩებზე ეტლით მოძრაობა, რომელზედაც პროცესია გაივლის, საღამოს 5 საათამდე.

12) როცა ყველა კოლონები შეგროვდებიან მიტინგის ალაგას, მუსიკის ხოროსა და მგალობელთა გუნდს მაღალით ეცნობება დაიკავონ მთავარი მოწესრიგის მიერ მიჩნეული ადგილი ინტერნაციონალის და მარსელიოზის საგალობლათ. უმთავრესი მოწესრიგის ჩვენებით კოლონები დაიშლებიან შემდეგი წესით: 1) ნაძალადევის, დიდუბის და პარკის მუშები, 2) ვერის რაიონი, ავლაბრის, მაიდნის, ერივანის და სხვა. მარშრუტი: ჩერქეზიშვილის და კიროჩნი ქუჩა, ვერის ხიდი, გოლოვინის პროსპექტი, ერევნის მოედანი.

რევოლიუციის მოედანზე მიტინგები 11 საათიდან. ერევნის მოედანზე პროცესია დაიშლება საღამოს 8 საათზე მიტინგები სხვადასხვა ადგილას.

წერილი იურიევიდან.

(საკუთარი კორეს.).

რუსეთის თავისუფლების სხივები დორპატს, ელექტრონის სისწრაფით ეწვნო 2 მარტს საღამოს 10 საათზე. მეორე დღეს 3 მარტს ხალხმა დილიდანვე იწყო დენა. ყველა ქუჩები ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა, ყველა გაფაციცებით ყიდულობდა გაზეთებსა და აღტაცებით კითხულობდენ განცხადებებს, ძველი მთავრობის დასამარებისა და ჯარის ხალხის მიმხრობა გადასვლის შესახებ. ამ ცნობის გაგებისთანავე მუშებმა გამართეს კრება. ამავე დროს დორპატის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა მიტინგები. შუადღის სამ საათზე მოხდა ყველა სტუდენტთა საერთო კრება ლომბერგის ბაღში. აქედან სტუდენტები მარსელიოზის სიმღერით და წითელი დროშებით გაემართნენ ვოკზალისაკენ, და ესტონელ თეატრისაკენ, სადაც მუშების მიტინგი იყო. აქ დიდი აღტაცებით და აღფრთოვანებით მიეგებნენ მუშები და სტუდენტობა ერთიერთმანეთს.

აუწერელი სანახაობა იყო, როცა რევოლიუციონურმა ჯარებმა გაიარეს მუზიკით პულემოტებით და ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდენ კაზაკების წინააღმდეგ, მაგრამ დახე საკვირველებას, როცა თვითონ კაზაკები მარსელიოზის სიმღერით და ურას ძახილით გზაზე შეეგებენ ჯარის კაცებს. აქედან მთელმა იურიევის გარნიზონმა კრებაზე თავიანთი დელეგატები გამოგზავნა. კრება უკვე გახსნილი იყო და მუშა ორატორები, პროფესორები და სტუდენტები ახასიათებდენ მომენტს. უცებ გაისმა ხმა ჯარის კაცების დელეგატებში: განთავისუფლებული პოლიტიკური დამნაშავენი მოდიანო. მთელი კრება „ურას“ ძახილით, ტაშის კვრით შეეგება მათ. ჯარის კაცების დელეგატებმა სიტყვები წარმოსთქვეს და ხალხს ერთგულობა შეფიცეს. კრება ღამის 11 სათზე გათავდა. ხალხი მწყობრივ დაიშალა.

4 მარტს შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, მუშათა, ჯარისა და სტუდენტებთა წარმომადგენლებიდან. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით იმ დღესვე სტუდენტებ-

თა მილიციამ, აყარა იარაღები პოლიციელებს და ჟანდარმებს, ზოგი მათგანი დააპატიმრეს, დანარჩენები კი გაგზავნეს ცალცალკე ფრონტზე.

5 მარტს შესდგა ჯარის კაცების, მუშათა და სტუდენტებთა საბჭო. საბჭოში ყველა მარქსისტები გავიდენ. ეს საბჭო დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დიდი ნდობა მოიპოვა ჯარში და ხალხში. მუშათა, ჯარის და სტუდ. დეპ. საბჭოს აქვს თავისი კლუბი, სტამბა, გაზეთი ორი ყოველ დღიური; „Юрьевская Правда" და ყოველკვირეული „Извѣстія Юрьевскихъ Совѣта Раб., Солдат. и Студен. Депутатовъ".

6 მარტს საღამოზე შესდგა ქართველ სტუდენტთა კრება სათვისტომოში. კრებაზე გადასწყვიტეს წასვლა საქართველოში, დაუკრეს ტელეგრამმა რედაქციებს: „საჭიროა თუ არა ჩვენი წამოსვლა საქართველოში"; „სახალხო ფ." რედაქციიდან დადებითი პასუხი მიიღეს, მაგრამ მიუხედავათ ამისა გადაწყვეტილება გადაუწყვეტლებათ დარჩა, რადგანაც ზოგს სემესტრი არ ქონდა ჩაბარებული, ზოგი კი თურმე ტანისამოს იკერავდა და ეს მოიმიზეზეს და სხვა.

საერთოთ იურიევის ქართველი სტუდენტები, ზოგიერთების გამოკლებით, არარაობას წარმოადგენს. გარდა თავიანთი საგნებისა, კარტის თამაშისა და პირად ნიადაგზე გამოწვეულ კინკლაობისა ჭორიკანობისა არაფერს არ აკეთებენ. წარმოიდგინეთ არ კითხულობენ არამც თუ სამეცნიერო წიგნებს, გაზეთებსაც კი.

15 მარტს იურიევი ძველ დორპატს არ გავდა. ამ დღეს დღესასწაული იყო რევოლიუციის მსხვერპლთა პატივსაცემათ. რატუშის მოედანზე, სადაც დღესასწაული იყო დანიშნული ხალხი აღარ ეტეოდა. საუცხოვო სანახავ-თვალწარმტაცს სურათს წარმოადგენდა იგი. ყველა წითელი ბანტებით იყო მოკაზმული, ჰაერში კი წითელი დროშები შავი ლენტებით ფრიალებდენ ოქროს ასოებით წარწერით: „საუკუნო იყოს ხსენება მებრძოლთა მსხვერპლისა", „გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკანურ რუსეთს"-ო. „პარადი" ნაშუადღევის 2 საათზე გათავდა, მაგრამ მიტინგები, მანიფესტაციები არ შეწყვეტილა ღამის 10 საათამდის.

25 მარტს შესდგა კრება ესტონიელ ავტონომისტებისა, რომელთა რიცხვი 200 კაცს არ აღემატებოდა. მუშებმა და თვით ესტონიელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, უდროვო დროს ავტონომიის საკითხის წამოყენებისათვის.

ალ. გა—ძე.

მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოებში·

თელავის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს შეერთებული სხდომა. 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე იუნკრების შკოლის დარბაზში გაიხსნა თელავის ჯარისკაცთა დ მუშათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა. კრებას დაესწრო მუშების 25 წარმომადგენელი, ჯარისკაცთა 22 წარმომადგენელი, ტფილისის მუშათა საბჭოს რწმუნებულები და რამოდენიმე მოწვეული გარეშე პირი. პირველათ კრებაზე წარმოითქვა სიტყვები ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს გაერთიანების შესახებ. მოულოცენ ერთი მეორეს და დაადგინეს: ამიერიდან თელავის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო იმუშავებენ ხელი-ხელ ჩაკიდებული და საერთო ძალღონით შეეცდებიან ახალი წყობილების განმტკიცებას. პირველი კითხვის, ე. ი. გაერთიანების შემდეგ, კრება შეუდგა განხილვას თელავის დროებითი აღმას. კომიტეტის მოქმედების. გამოირკვა, რომ კომიტეტის მოქმედებაში ბევრი დეფექტებია, ხოლო ძალა-უფლება არა კანონიერი გზით მიუთვისებია. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: დაუყოვნებლივ გადაყენებული იქნას თელავის კომიტეტი და დროებით ხელმძღვანელობა დაეკისროს ჯარისკაცთა და მუშათა აღმ. კომიტეტებს, რომლებიც მოახდენენ ქალაქში ხელახალ არჩევნებს და შეადგენენ დემოკრატიულ პრინციპის მიხედვით ახალ კომიტეტს. კრებამ აირჩია ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოდან ათ-ათი წევრი აღმასრულებელ კომიტეტისათვის. ამათ დაევალათ 11 აპრილს მოახდინონ ლიკვიდაცია თელავის კომიტეტის და მოიწვიონ მოქალაქეთა წარმომადგენლები. კრებაზე გამოირკვა, რომ საიდუმლო აგენტურა პოლიციის, ჯაშუშების სია და საერთოთ ძველი მთავრობის მოქმედების შესახებ ცნობები, ჯერაც გამოურკვეველი ყოფილა და თელავის კომიტეტს ამის შესახებ არავითარი ზომები არ მიუღია. კრებამ დაგმო ამის გამო კომიტეტის საქციელი, აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია თავის წრიდან და ღამის ორ საათზე კომისიამ დასტოვა კრება და წავიდა მაზრის სასამართლოს სადარაჯოთ დილამდე. დილას კი კომისია ყოველივე საბუთებს კონფისკაციას გაუკეთებს, განიხილავენ ძველი პოლიციის მოქმედებას და შეუდგებიან ჯაშუშთა ვინაობის გაგებასაც.

ანანია.

ქ. გორი. მუშათა და სალდათების დეპუტატების საბჭოს შეერთებული მიტინგი 7 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოიყარეს თავი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებმა თავთავიანთი დროშებით და გაემგზავრენ „ბატარეის მოედანზე", სადაც წინ შემოეგებათ მთელი გარნიზონი და გორის მოქალაქენი.

იუნკრები და ჯარის კაცები შეიარაღებული იყო, მასთან თითო „როტას" თითო დროშა ქონდათ განსაკუთრებით, შემდეგ წინ გიმნაზიელების მუზიკით გაემგზავრენ „საზაფხულო კლუბში".

დანიშნულ ალაგს ბევრი ხალხი დაგვხვდა; კრება გახსნა ამხ. გ. მაჩაბელმა და განუმარტა ხალხს შეერთება მუშებისა და ჯარის. შემდეგ თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. გიორგი მაჩაბელი, მდივნათ ს. ირემაშვილი.

პირველათ ილაპარაკა ს. ირემაშვილმა და საერთოთ დაახასიათა დღევანდელი რევოლიუციის მსვლელობა და მასში მუშების და ჯარის მონაწილეობის მიღება. შემდეგ ილაპარაკა ამხ. ჯარისკაცმა კამენევმა, რომელმაც დაახასიათა 1905-დან დღევანდელ რევოლიუციამდის სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობა, და ხალხს მოუწოდა შეერთებისაკენ. შემდეგ ილაპარაკა პრაპ. ვ. ქარცივაძემ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. შემდეგ ორმა ნაციონალისტმა: ვასო ეგნატაშვილმა და ვასო ირემაშვილმა. შემდეგ ილაპარაკა ტუსაღებმა. ბოლოს ილაპარაკა პოლიტიკურმა კატორღელმა, რომელსაც გული შეუწუხდა. უკანასკნელათ თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა და კრება დახურა.

ტანჯული მუშა.

ფოთის მუშათა საბჭოში. საბჭომ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს გიორგი ა. საბახტარიშვილს 500 მ. შემოწირულებისთვის.

— მადლობას უცხადებს საბჭო აგრეთვე ივანე ანდ. კლორძესა და აქსენტი ოტ. ქვანიას 300 მან. შემოწირვისათვის.

— საბჭომ მიიღო აგრეთვე ქათურის მუშ. საბჭოსაგან 40 მანეთი ჯარისკაცთა ადგილობრივ გაზეთების მისაწოდებლად.

— მუშათა და ჯარისკაცთა ადგილობრივ დეპ. საბჭოების შეერთებულმა სხდომებმა აირჩიეს საერთო მუდმივი პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ კოწია საბახტარიშვილი, მის ამხანაგად მეზღვაურთა ოფიცერი. მდივნებათ: აქსენტი მეგრელაძე და ერთიც ჯარისკაცი. მათი შეერთებული სხდომა კვირაში ერთხელ ხდება, ხოლო არაჩვეულებრივი, საჭიროების მიხედვით.

— კერძოთ მუშათა საბჭოს ჩვეულებრივი სხდომები კვირაში ორჯერ ხდება, ხოლო არაჩვეულებრივი თითქმის ყოველ დღე, რადგან აუარებელ კითხვებზე უხდება პასუხის გაცემა.

რევოლიუცია პროვინციაში·

სანჯანი. ორ აპრილს აღდგომა დღეს სანჯანის გარნიზონში შესდგა მთელი გარნიზონის მიტინგი, რომელსაც აუარებელი სალდათები და ოფიცრები დაესწრო. მიტინგზე მრავალმა ორატორებმა წარმოთქვა სიტყვა—როგორც ოფიცრებმა, ისე სალდათის დეპუტატებმა.

აქ სანჯანის გარნიზონში როგორც სხვა ნაწილებში არიან ქართველი ჯარისკაცები რამდენიმე ასეული. მათ შორის არიან ისეთები, რომ რუსული ენა ცუდათ ესმით ანდა სულ არ გაეგებათ რა რუსულისა. ამიტომ კომიტეტის დავალებით დეპუტატმა კალანდაძემ გადაუთარგმნა ქართულ ენაზე ქართველ ამხანაგებს ის სიტყვები, რაც იყო წარმოთქმული მიტინგზე.

მამაკაიშვილი.

სოფ. ბასილეთი. (გურია). 2 აპრილს, ნაშუადღევს ბასილეთში გაიმართა მახლობელ სოფლის მცხოვრებთა მიტინგი. თავმჯდომარეთ აირჩიეს სილიბისტრო ჯაში, რომელიც მიესალმა ხალხს და გააცნო კრების მიზანი. შემდეგ ილაპარაკა ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა გრიგოლ კოპლატაძემ. მან ხალხს გააცნო აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილება სხვადასხვა პრაქტიკული კითხვების შესახებ. ილაპარაკა აგრეთვე თავისუფლებისათვის შეწირულ მსხვერპლთა შესახებ. ხალხმა მათ ქუდების მოხდით პატივი სცა. შემდეგ ილაპარაკა ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრმა ვიქტორ ნინიძემ. მან მოუწოდა ხალხს ქუდების მოხდით და მუხლის მოყრით პატივი ეცათ პეტროგრადსა და მოსკოვში დაცემულ რევოლიუციის მსხვერპლთათვის. შემდეგ ორატორმა ვრცლათ დაუსურათა დამსწრეთ მომენტის სიდიადე, განუმარტა ომის წარმოშობის მიზეზები, გააცნო ხალხს პეტროგრადისა და ტფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოთა და საზოგადოთ რუსეთი პროლეტარიატის დამოკიდებულება თანამედროვე მომენტთან, მათი გადაწყვეტილება თანამედროვე კითხვების შესახებ და მოუწოდა ხალხს შეკავშირებული ერთსულოვანი მუშაობისათვის. ხალხი საღამოს 6 საათზე დაიშალა.

მოქალაქე.

ახალქალაქის რაიონი. (სოფ. ყარაღაჯი). 7 აპრილს სოფელ ყარაღაჯში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. კრება მოწვეული იყო გლეხთა საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის ასარჩევათ.

კრებაზედ ქალებიც ბევრი დაესწრო. ხელმძღვანელმა აუხსნა დამსწრეთ თანამედროვე მომენტი და არჩევნების მიზანი და მათი მოვალეობა. როდესაც კრების ხელმძღვანელმა მიმართა ქალებს, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, როგორც თავისუფალ მოქალაქეთ, თუ მათაც სურთ, რომ უფლებიან ადამიანებათ იქცნენ, მათაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა კანდიდატების არჩევის დროს. კრებამ აირჩია რვა კაცისაგან შემდგარი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი სამი პირისაგან შემდგარი. კრების ხელმძღვანელმა აუხსნა არჩეულ საბჭოს, რომ მათი მოვალეობაა წესრიგის და მშვიდობიანობის დამყარება სოფლათ, დროებით მთავრობისათვის მხარის დაჭერა და ახალი თავისუფალი წყობილებისათვის ნიადაგის მომზადება.

წესრიგის დამცველათ არჩეულია სამი მილიციონერი ჭრილობის გამო სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულნი. საბჭომ თავის წრიდგან აირჩია სამი პირისაგან შემდგარი აღ. კომიტეტი.

გ—ი.

რაჭა. დიდმა რევოლიუციის სხივმა თვით მივარდნილ რაჭაშიაც შემოაშუქა; თავზარი დასცა ბნელეთის მოციქულებს; მათი იმედი, რომ ხალხი რუსეთის დახავსებული რეჟიმის წყალობით, კიდევ დიდხანს თვალებ ახვეული იქნებოდა, ერთი ხელის დაკვრით გაქარწყლდა.

ბნელეთის მოციქულებს, რომლებსაც ფართო ასპარეზი ეძლეოდათ სათარეშოთ, ხალხის სატყავებლად და საფცქვნელათ, რომ თავიანთი ბედნიერება სხვის უბედურებაზე და ვაივაგლახზე აეგოთ, სხვა ეტირებიათ და თვით შვება-ლხენა მოეპოვებიათ, ნიადაგი გამოეცალათ. მთელს რაჭაში ამ ვაჟბატონების თავისუფალმა და თავაშვებულმა თარეშმა ყველაფერს გადააჭარბა, როგორც და რანაირადაც მოესურვებათ, ისე სტანჯავდნენ და ფცქვნიდნენ საწყალ ხალხს.. მაგრამ, დაჰკრა საათმა... დაუდგა მთელს ქვეყანას დიადი ჟამი განთავისუფლებისა და ზემოხსენებული ვაჟბატონებიც დამფრთხალნი სოროებში მიიმალენ, რომ ტანჯული ხალხის ბრაზსა და რისხვას გადაურჩნენ. ზოგიერთები ამ ბნელეთის მოტრფიალენი დღესაც არ აჩერებენ თავიანთ საქვემძრომო და გესლიან ენას, პარტიულ მანტიაშიაც კი გაეხვივნენ განგებ და ჩუმათ, რამოდენიმე პირთა წყალობით, პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ ხალხში, ჩირქს სცხებენ რ. სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ხალხს ეუბნებიან:—სოც.-დემოკრატების არაფერი არის საწმუნებელი, მათ სურთ თქვენი გაღატაკება, სარწმუნოება მათ არ სწამთ და სხვა...

მაგრამ სოფლის გლეხობა მათ ყველგან შეგნებულათ ხვდება და შესაფერ პასუხს აძლევს.

ყველგან თითქმის ამ დიად მომენტს ხალხი დიდის აღფრთოვანებით ეგებება, ყველგან მიტინგები იმართება, ირჩევენ დროებით აღმ. კომიტეტებს, რომლებიც ადგილობრივათ ხალხის საქმეებს განაგებენ, ყველგან წესიერება დაცული. 6 აპრილს დ. ამბროლაურში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო ოთხი საზოგადოება: ამბროლაურის, წესის, სხვავის და ველევის. ხალხმა დილის შვიდი საათიდან იწყო მოგროვება. ნაშუადღევის 2 საათზე კრება გაიხსნა. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. მაისურაძე. პირველათ ილაპარაკა ქუთაისის დრ. აღმ. კომიტეტის დავალებულმა პირმა რ. ყიფიანმა; მან სადათ და მკაფიო ენით დაუსურათა ხალხს რუსეთის ძველი რეჟიმი, მისი ბნელი მოღვაწეობა, შეეხო წარსულ 1905 წელს, ამ დროის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, როგორ მოიპოვა ხალხმა ამ დროს თავისუფლება და რა იყო მიზეზი რეაქციის და კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებისა. მჭევრმეტყველურათ დაახასიათა ხალხს აგრეთვე რუსეთის უკანასკნელი ძველი რეჟიმის მესვეურთა და მთელი სახელმწიფოს მმართველების გათახსირება, დემორალიზაცია და ძველი სახელმწიფოს წესწყობილების დამსხვრევის დიადი მიზეზები და სხვა.

ამის შემდეგ ილაპარაკა მეორე ორატორმა კ. ჯაფარიძემ, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე ქუთაისის დრ. აღმ. კომიტეტისაგან მიტინგების ხელმძღვანელობა რ. ყიფიანთან ერთად მთელს რაჭაში. აღნიშნულმა ორატორმა მოკლეთ და გასაგები ენით აუხსნა ხალხს დიადი კითხვები. მერე ხელმეორეთ ილაპარაკა რ. ყიფიანმა, რომელმაც განუმარტა ხალხს, თუ როგორი პირები უნდა აირჩიოს ხალხმა, რომ საქმე რიგიანათ წაიყვანონ. მიტინგზე სხვა ორატორებმაც ილაპარაკეს, რომლებმაც სხვა საკითხებთან ერთად მხოლოდ დღევანდელ მომენტზე ილაპარაკეს. საზოგადოთ მიტინგმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხში.

ამირანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მადლობას უცხადებ გიორგი ელიზბარის ძე ბერეჟიანს და მღ. ანდ. რამიშვილს, რომლებმაც შემოსწირეს გორა-ბერეჟოულის სკოლას და სამკითხველოს პირველმა ყოველ წლობით სამი თუმანი თავისი ასულის შუშანას ხსოვნის აღსანიშნავათ, ხოლო მეორემ ერთდროულათ ხუთი მანეთი, ღარიბ მოწაფეთა დასარიგებლათ, მისი დის შვილის პახუმი ჯღერიას სულის ხსოვნის პატივსაცემათ.

სკოლის მაზრ. მღ. პოლ. ნაჭყებია.

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ.ბ. თარხან და ლავრენტი მგალობლიშვილებს და გრიგოლ როგავას, რომლებმაც არ დაზოგეს შრომა და ჩვენ ერკეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ ნაცვლათ ე. წ. „ალილოისა" ფული მოაგროვეს ადგილობრივ მცხოვრებლებში. სია შემომწირველთა: სამ-სამი მანეთი ისაკი და რაფიელ კობიძეებმა. თითო მანეთი: დავით მაქარიშვილმა, შალვა კობიძემ, გაბრიელ გიორგის ძე, ალექსანდრე სოფრ., ვასილი გიგოს ძე კობიძეებმა, გლახუნ მინდაძემ, ალექსანდრე გიგოს ძე, თარხან, ვანო ანტ. ლავრენტი, და მღვდ. ილიკო მგალობლიშვილებმა, ივანე როს. ბერიძემ, გიორგი და ანდრია გრიგ. ანთიძეებმა, მაკარა რამიშვილმა, იორდანე დ. და ტროფიმე გორდელაძეებმა, ბარნაბ აცანელიძემ, გიორგი უჯმაჯურიძემ, და იაგორ ჩანტლაძემ, სამი აბაზი: გიორგი შარაშიძემ, ათ ათი შაური: ბეგლარ, სიმონ, ტარასი იას., დათა სიკ. ამბაკო, პლატონ და მაქსიმე მგალობლიშვილებმა, დიომიდე, ონისიმე, ფრიდონ, მიხელ და ფიდოსი ჩანტლაძეებმა, მაკარი, ბიქტორ მაქ., ერმალო ალექ. უჯმაჯურიძეებმა, ალექსანდრე, კოწია, არსენ მაქარიშვილებმა, ბარნაბ ჯინჭარაძემ, ლევანტი რამიშვილმა, კოტე მინდაძემ, ევტიხი რამიშვილმა, ყარამან აცანელიძემ, ვანო შარაშიძემ, გ. რამიშვილმა, დომენტი თოდრიამ, ივანე გ. ჯინჭარაძემ, ირაკლი მაქარიშვილმა, ტარასი მეგრელიძემ, სტეფანე რამიშვილმა, ისაკი მინდაძემ, ალექსანდრე გ. კალანდაძემ, გიორგი ლ. კობიძემ, გრიგოლ ხიზანეიშვილმა, სოლომონ მგალობლიშვილმა, ნესტორ ჯინჭარაძემ, ვასილი მინდაძემ, სამსონ პაიჭაძემ, სეფერიან და იაგორ მ. კალანდაძეებმა, ისაკი ტუღუშმა, ნესტორ ანთიძემ, ეტლია პაიჭაძემ, სოლომონ პინჭარაძემ, აფრასიონ ანთიძემ, მირიან სიხარულიძემ, თედორე აცანელიძემ, სარდიონ ჭინჭარაძემ, კოლია მაქარიშვილმა, გიორგი მინდაძემ, იაგორ, ალექსი, ანდრო ივ. გორდელაძეებმა, ანტონ კალანდაძემ, კვირიკე დათ. და ბეჟუკი ბერიძეებმა, პროკოპი ჯიქიამ, პავლე გორდელაძემ, ილარიონ უჯმაჯურიძემ, მიხაილ ბერიძემ, ანდრია მგალობლიშვილმა, მიხაკო მეგრელიძემ ერთი მანეთი: ორი აბაზი: ჯიმიშეთი კობიძემ, ზაქრო პაიჭაძემ ერთი მანეთი. ექვს-ექვსი შაური: გ. მგალობლიშვილმა, ვატა მგალობლიშვილმა, თეოფილე კალანდაძემ; ივანე გორდელაძემ 25 კაპ., ანდრია უჯმაჯურიძემ 20 კაპ., ლეონტი ჩანტლაძემ 25 კაპ., ფიოდორ ჭიხვარიამ ერთი აბაზი, თომა პაიჭაძემ 20 კ., ს. თოდრიამ 25 კ., ირაკლი კობიძემ 20 კაპ., ივანე რამიშვილმა 20 კაპ., დავით მინდაძემ 15 კ., ილიკო თოდრიამ 10 კაპეიკი, სულ შედგა 63 მანეთი და 40 კაპეიკი.

პატივისცემით ერკეთის (გურია) უფასო სამკითხველოს გამგეობის ხაზინადარი

ანდრია ანთიძე.

ჩემი აღსარება.

17 წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემთან შემოვიდა ერთ-ერთი ფედერალისტი და მითხრა: „კაცო მოდი ითანამშრომლე ფედერალისტების გაზეთში, ყველა წერილებს დაგისტამბავენ და თან გონორარსაც გვარიანს მოგცემენო. ბავშური იყო მაშინ ჩემი აღტაცება, ფულს თუ მომცემენ წერილებსაც დამისტამბავენ, მეტი რა მინდა მეთქი, გავიფიქრე და დავიწყე ქუთათურ გაზეთში თანამშრომლობა, უბრალო კორესპონდენციებს ვაგზავნი. იმ ხნიდან მოყოლებული არ გამომრჩებია ქუთათურ გაზეთებს. ეს მეორე წელიწადია ქუთაისში გამოდის „გაზეთი", „მეგობარი", რომელიც არა მშრომელ ხალხს, არა დემოკრატიას—და მუშათა კლასს ემსახურება, როგორც ამას თვით გაიძახის, არამედ ყოველი მისი გამოსვლები დემოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ვის მოუკალათებია მის ირგვლივ? აშკარათ ვიტყვით თავად-აზნაურულ მცონარე ინტელიგანციას. აქ ამ ორ მცნებათა შუა ჩინური კედელია აღმართული და მათი შეერთება შეკავშირება შეუძლებელია. ისინი ყოველთვის მოწინააღმდეგე კლასები იქნებიან და კლასიური ბრძოლაც მათ შორის სასტიკათ იწარმოების. მაგრამ მე მწამს მუშათა კლასის ძლევა მოსილობა, მე ეხლა მწამს მისი საოცარი ზრდა და ყოველთვის ეს უკანასკნელი გამოვა გამარჯვებული, მე უბრალო მომაკვდავი ადამიანი ვარ, რა უნდა მექნა, ვის უნდა მივკედლებოდი ამ ბრწყინვალე დროს? რასაკვირველია რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, რადგან მეც ხომ მუშათა კლასის ქერქში ვიწვი? მეც ხომ ისეთი დაჩაგრული ვარ ცხოვრებიდან, როგორც პროლეტარიატი—მშრომელი ხალხი? დღეს გამოანათა ბრწყინვალე მზემ, დღეს მხოლოდ შეიჭრა მისი სხივი გლეხების ქოხში, მუშის კარავში და ვაი იმას, ვინც ამ დროს მის გარეთ დარჩება, მას ბრძოლას გამოუცხადებს, მეც მინდა ვესახური სულით და გულით ხალხს; მეც მინდა ჩემი მცირედი წვლილი შემოვიტანო მათ სალაროში. [illegible] დღეიდან ვტოვებ ფედერალისტებს [illegible] გადავდივარ სოციალ დემოკრატიაში. დეე მის სასიკეთო ბრძოლაში დაილიოს ჩემი ძალა და ენერგია. დიდი დანაშაული მიმიძღვის ამხანაგების (დასელების) წინაშე პრესაში თუ ცალკე გამოსვლებში ვებრძოდი მათ. რასაკვირველია შეუგნებლათ. ხალხური თქმულებაა „სჯობს გვიან ვიდრე არასოდესო", მეც შევიგენი ჩემი დანაშაული და აწი არავითარი ღალატი ჩემი მხრით არ შეიძლება მიმიღეთ თქვენს პარტიაში. სალამი რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

„მეგობრის" ყოფილი თანამშრომელი („დაჩაგრული") სამსონ მიხეილის ძე კიკაჩეიშვილი.

ქალაქ გორის მოქალაქეთა საყურადღებოთ!

გორის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია აცხადებს, რომ სახალხოთ ვასამართლებთ ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრს ნესტორ კერეჩაშვილს, რადგან მასზედ გავრცელებულია ხალხში ხმები, რომელიც პარტიას ჩირქსა სცხებს, ჩვენ ვუწევთ რა ანგარიშს და პატივსა ვცემთ საზოგადოებას, გთხოვთ თავისუფალო მოქალაქენო მოგვაწოდოთ ფაქტებზე დამყარებული საბუთებზე და მით ბოლო მოუღოთ ასეთ მოვლენას. გთხოვთ, ვისაც რა ბრალდებანი გაქვთ წამოაყენოთ სახალხო სასამართლოზე, რომელიც შესდგება ორი კვირის შემდეგ დღეიდან ამ წერილის გამოცხადების ქალაქ გორის მუშათა საკრებულოს შენობაში 4 საათზე ნაშუადღევისა. იმედია პატივცემული საზოგადოება ამ საკითხს სერიოზულ ანგარიშს გაუწევს და დაგვეხმარება. ამათ ჩვენ მოვიხდით ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს.

თავმჯდომარე ქალაქ გორის კოლლექტივისა გ. მარსაგოვი.

ცნობები
ჯარისკაცების შესახებ.

ბაქო. 2 აპრილს ბაქოს განმანაწილებელ პუნქტში მოიყვანეს შემდეგი დაავადმყოფებული ჯარისკაცები: გოგელაშვილი ნიკოლა სოლომონის ძე, პაპლეშვილი ილია სოლომონის ძე, ხელიაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე, ტუალეშვილი ნესტორ ალექსანდრეს ძე, ხადაჩავა იაკობ მიხეილის ძე, პაპანაშვილი პეტრე მიხეილის ძე, გურჩაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე, აბრამიშვილი ალექსანდრე მურძაყანის ძე, ბრეგვაძე ვასილ გრიგოლის ძე, ნოზაძე ლავრენტი მიხეილის ძე, კერსელია სამსონ დავითის ძე, ვირკაშვილი აბრამ ბესარიონის ძე, კალდავა ვასილ ივანეს ძე, ბეკურაშვილი იოსებ ფილიპეს ძე, ხატაშვილი ვასილ გიორგის ძე, ბოლქვაძე ბართლომე მელიტონის ძე, ფირაძე გიორგი ანტონის ძე, ნოდია კონსტანტინე ივანეს ძე, კვარაცხელია ონისიმე, მინაშვილი ივანე პავლეს ძე, ფრიაშვილი მირონ ბარამის ძე, ფაქსაშვილი სერგო ნიკოლოზის ძე, მერაბიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე.

ბ. ჭანტურია.

—

შარიფ-ხანის საკვებ და ღამის გასათევ პუნქტში № 153-ში, დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ქართველი მსროლელი პოლკის ჯარისკაცი ერასტი მაკალატია, (ქუთ. გუბ. სენ. მაზ. სოფ. სეფიეთიდან, როგორც გადმომცა მისმა ამხანაგმა), რომელიც დაასაფლავეს 11 აპრ. 1917 წ. ადგილობრივ სასაფლაოზე სპარსეთში სოფელ შარიფ ხანაში. გული მოგვიკლა იმისმა მოულოდნელმა სიკვდილმა. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

პატივისცემით შარიფ-ხანის 153 საკვებ და ღამის გასათევის პუნქტის ფერშალი ვანო დანიელის ძე ცქიტიშვილი.

— ჯარის კაცი ნესტორ ბესოს ძე ჩხარტიშვილი, რომელიც ბათუმში მიიღეს სამხედრო სამსახურში ამა წლის ოთხი თებერვლიდან არაფერი ვიცით, ამიტომ გთხოვთ ყველას ვინც რამე იცის მის შესახებ მოგვაწოდოთ ცნობა შემდეგის ადრესით: სად. ლანჩხუთი (ქუთ. გუბ.) სოფ. ჯუმათში გერმანე სიმონის ძე ჩხარტიშვილს.

— ევსტატე გოგიას ძე ტორჩინავა სენაკის და ხეთის საზოგადოების მცხოვრები მსახურობდა პირველი კავკასიის მომქმედი ჯარში 153 ქვეითი ბაქოს პოლკში 15 როტაში 1 ზვოდში. 9 თვეა რაც მის შესახებ არაფერი ვიცით და თუ ვინმემ იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: гор. Тифлисъ 2-ой Кавказской раб. баталіонъ 8-я рота 4-й зводъ Евтиму Шелія.

რედ.-გამომცემელი მღ. ზ. ბოხოხაძე.

მიღებულია ფრანგული აბრეშუმის
თეხლო ცნობილი ფირმის ბერტესი
საკუთარ შეკვეთის თანახმათ
ოთხკუთხ კოლოფებში
ფრანგული სამფეროვანი დროშით და შავი არწივით ყვითელ ფონზე.
მიმართეთ ტ. ს. მირზაიანცს: ტფილისი განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58.
დეპეშის ადრესი: ტიგრან მირზაიანცს ტფილისში. 10—5

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუსთაველის გამზირის შესახვევი.